საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 19 აგვისტო. 2021 წ. №169 (9288) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ირაკლი ღარიბაშვილი:

გიორგი ანწუხელიძემ სასტიკ წამებას ვაჟკაცობა და სამშობლოს ერთგულება დაუპირისპირა

„დღეს საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის დაბადების დღეა. გიორგი ანწუხელიძემ პიროვნული ღირსების, სამშობლოსადმი ერთგულებისა და თავდადების ისეთი მაგალითი შექმნა, რომლითაც მარადიული ადგილი დაიკავა საქართველოს ისტორიაში. მან სასტიკ წამებას ვაჟკაცობა და სამშობლოს ერთგულება დაუპირისპირა. გიორგი ანწუხელიძე იყო ქართული სულის სიმტკიცის განსახიერება.

პატივს მივაგებ გიორგი ანწუხელიძის ხსოვნას. სწორედ მისი გმირობისა და თავდადების მსგავსმა მაგალითებმა მოიყვანა დღემდე საქართველო“, — წერს ღარიბაშვილი.

საქართველოს ეროვნულ გმირს გიორგი ანწუხელიძეს 18 აგვისტოს 37 წელი შეუსრულდებოდა. IV ქვეითი ბრიგადის უმცროსი სერჟანტი გიორგი ანწუხელიძე 2008 წლის აგვისტოს ომში ტყვედ ჩავარდა. იგი სეპარატისტებმა წამებით მოკლეს. გარდაცვალების შემდეგ გიორგი ანწუხელიძეს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა და 2013 წელს სოფელ ქვემო ალვანში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი გაიხსნა.

გრძელდება აჭარის აღმშენებლობა

2

ოპოზიციური პარტია თუ გადაკვეთს წითელ ხაზს, ის ტერორისტული ორგანიზაცია შეიძლება გახდეს!

4

აურზაური ნაციონალების „სალხინეთში“

„სიცოცხლე სიცოცხლის წილ“

3

როგორ გადაარჩინეს ქართველმა და ოსმა ერთმანეთი სიკვდილს...

„სააკაშვილს თუ ჩამოსვლა უნდა, ჩამოვიდეს, გვაქვს ჰალსტუხების საკმაოდ დიდი კოლექცია, რომ დავახვედროთ და კომფორტულად ვამყოფოთ ციხეში“

„ხალხმა ნახა ყველაფერი, ნახა 90-იანი წლები, მაშინ, როცა ძმათა შორის მკვლელობა მიმდინარეობდა ჩვენს ქვეყანაში. ომი აფხაზეთში, ომი ოსეთში, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, დაპირისპირება, ქაოსი, უწესრიგობა. შემდეგ ვნახეთ ახალი ომი რუსეთის ფედერაციასთან, რომელმაც მოიტანა ჩვენი ქვეყნის 20%-ის ოკუპაცია და ჩვენი გმირების გმირული დაღუპვა ომში. 100-ზე მეტი სოფლის ჩაბარება და კოდორის ხეობის, ახალგორის და უამრავი ჩვენი ძირძველი ისტორიული ტერიტორიების დროებით დაკარგვა. დროებით იმიტომ, რომ მე მჯერა და ყველას გვჯერა, რომ ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც ჩვენი ქვეყანა ერთიანი და მთლიანი იქნება.

ჩვენმა ხალხმა გამოსცადა მჩაგვრელი ხელისუფლის, მჩაგვრელი ძალის ხელწერა, რომელიც საკუთარ ხალხს უწყობდა ტერორს. ეს არც თუ ისე შორეულ წარსულში, 8-9 წლის წინ ხდებოდა აქ, ჩვენს ქვეყანაში, როდესაც ჩვენ არ შეგვეძლო მშვიდად გადაადგილება, ერთმანეთთან თავისუფლად საუბარი. კარგად გახსოვთ ყველას, რა მდგომარეობაში იყო ბიზნესი. საქართველოს თითოეულ კუთხეში იყო ტერორი და განუკითხაობა. პრაქტიკულად, მთავრობის მუნდირის ქვეშ კრიმინალები მართავდნენ ქვეყანას. ეს იყო მაფიოზური სახელმწიფო სააკაშვილის დროს. მაფიოზური, კლასიკური გაგებით — 5 კაცი მართავდა, დაჯდებოდა და გადაწყვეტდა — ამას დახვრეტა, ამას დაჭერა, ამას გაკულაკება, კონფისკაცია ბიზნესის. ათასობით ადამიანი დაზარალდა — ჩამოართვეს ოჯახებს ბიზნესები, სახლები, მშობლები დაუხოცეს და ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ ციხეებში — ადამიანების გაუპატიურება, ჩაგვრა, საშინელი უთანასწორობა და უსამართლობა.

ასეთმა უღირსმა ადამიანებმა არ იციან, რომ ჩვენ, ქართველები, ღირსებით გამოვირჩევით. ჩვენ ვართ თავისუფლების მოყვარული, ღირსეული ერი. მტკიცე და გაუტეხელი. ჩვენ ვართ ანწუხელიძეების და ჩვენი გმირების ქვეყანა და როცა ასე ექცევი საკუთარ ხალხს, რა თქმა უნდა, ხალხი პასუხს გაგცემს. ამ ადამიანებს კიდევ რომ უჩნდებათ პრეტენზია ხელისუფლებაში დაბრუნების, ეს არის კიდევ უფრო დიდი დანაშაული და კრიმინალი და შემდეგ უკვირთ, როდესაც ჩვენ მათ ამ დანაშაულს ვახსენებთ. რა თქმა უნდა, ყოველთვის შევახსენებთ — ყოველთვის, ყოველდღე, მათივე სიტყვებით რომ ვთქვა, სულს ამოვხდით ამ შეხსენებებით, იმიტომ, რომ არასოდეს აღარ დაბრუნდება ის ბნელი დრო, როცა ასეთი მჩაგვრელი, მასხარა მართავდა ქვეყანას სააკაშვილის სახით, რომელიც ახლა დევნილად არის ქცეული, თქვენ ნახეთ, როგორ სამარცხვინოდ მოიქცა, კაცი 9 წელი იყო ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, ხალხმა ამხელა მანდატი მისცა და კაცმა საკუთარი ნებით დატოვა პასპორტი. გავიდა მოქალაქეობიდან, საკუთარი პასპორტი დატოვა, ჩააბარა და აიღო უკრაინის მოქალაქეობა. შემდეგ გააძევეს თმების თრევით, ჯერ სახურავებზე დახტოდა, შემდეგ თმების თრევით გააძევეს და კიდევ აქეთ ჭკუას გვარიგებს და იმუქრება. ასეთი მასხარების დრო ქვეყანაში დასრულებულია, მეგობრებო და თუ ჩამოსვლა უნდა, ჩამოვიდეს. გვაქვს ჰალსტუხების საკმაოდ დიდი კოლექცია, რომ დავახვედროთ და კომფორტულად ვამყოფოთ ციხეში“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

გრძელდება რეგიონის აღმშენებლობა

სტრატეგიული მნიშვნელობის გზა

ხულო-ზარზმის 5 კმ-იან მონაკვეთზე, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს, გზის რეკონსტრუქციის პროცესს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად გაეცნო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი წერეთელმა მთავრობის მეთაურს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სამუშაოები ასევე დაწყებულია გზის 42 კმ-იან მონაკვეთზე, რომელსაც ქუვეითის ფონდი აფინანსებს. ბათუმი (ანგისა) — ახალციხის საავტომობილო გზის (ხულო-ზარზმა) პროექტი 3 მონაკვეთადაა დაყოფილი და ჯამში რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია 47-კილომეტრიან გზას და 7 ხიდს ჩაუტარდება. დაიგება 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის საფარი. ხულო-ზარზმის განახლებული გზა სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონებს უმოკლესი გზით დააკავშირებს. პროექტის ღირებულება დაახლოებით 110 მლნ ლარია. განახლებული გზით ბათუმიდან ახალციხემდე მგზავრობის დრო 1.5 საათით შემცირდება.

შუახევის ტურისტული პროექტები

შუახევის მუნიციპალიტეტში ტურისტული პროექტების განხორციელება რეგიონს ახალ სიცოცხლეს შესძენს და ტურისტული ლოკაციების და ვიზიტორების რაოდენობას გაზრდის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შუახევის ტურისტული პროექტების პრეზენტაციაზე განაცხადა. მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის და მეტი ტურისტის მოსაზიდად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მსგავსი ტიპის ტურისტული პროექტების განხორციელებას. პრეზენტაციაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ 5 პროექტი წარადგინა, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 30 მილიონ 750 000 ლარს შეადგენს. აღნიშნული პროექტების განხორციელება დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის და ადგილობრივებს ახალ შესაძლებლობებს გაუჩენს.

პროექტის მიხედვით, ჩირუხში ევროპაში ყველაზე გრძელი 2-ზოლიანი ზიპლაინი მოეწყობა, რომლის ღირებულება 10 მლნ ლარს შეადგენს. ჭვანის ხეობის ტურისტული განვითარების გეგმის მიხედვით, ბათუმიდან 1,5 საათის სავალზე მოეწყობა ინფრასტრუქტურა ბილიკებით, ვიზიტორთა ცენტრებით, ხიდებით და ავთენტური წისქვილების სადემონსტრაციო სოფლით. პროექტის ღირებულება 10 მილიონ ლარს შეადგენს. კურორტ გომარდულში ტობოგანისა და საბაგიროების მშენებლობის პროექტი მზადდება, რაც სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარებას ახალ სიცოცხლეს შესძენს. პროექტის ღირებულება 10 მილიონ ლარამდეა. შუახევში, ჯვარიმინდორის მთაზე ტურისტული თავშესაფრები და საკემპინგო ზონა შენდება, რომლის ბიუჯეტი 250 000 ლარს შეადგენს და ოქტომბრის ბოლოს დასრულდება. პროექტი შუახევს ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და გურიასთან მთებით დააკავშირებს.

ასევე მიმდინარეობს ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებზე გარდამავალი საფეხმავლო-საველოსიპედო ბილიკის მოწყობა, რომელიც სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. პროექტი, რომელიც ევროკავშირის ენპარდის მხარდაჭერით ხორციელდება, ოქტომბერში დასრულდება და მისი ბიუჯეტი დაახლოებით 500 000 ლარს შეადგენს.

განათლებისა და მეცნიერების ქალაქი

ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქი, სადაც საგანმანათლებლო და შემეცნებითი სივრცეების მოწყობა უკვე დასრულდა, 2021-2022 სასწავლო წელს მოსწავლეთა პირველ ნაკადს მიიღებს; სასწავლო პროცესის წარმართვისთვის მზადაა ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, სადაც მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო, — განათლებისა და მეცნიერების ქალაქში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თანმხლებ პირებთან ერთად დაათვალიერა.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა ხარისხიანი განათლების მიღების მნიშვნელობას ყველა საფეხურზე. მთავრობის მეთაურის შეფასებით, მისასალმებელია, რომ ფიზიკა-მათემატიკის სკოლა კონკურსის შედეგად შერჩეულ მოსწავლეებს გაძლიერებულ პროგრამებს შესთავაზებს ფიზიკა-მათემატიკის, პროგრამირებისა და უცხო ენების მიმართულებით.

ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლას გადაეცემა ახალი თაობის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, რომელიც 250 მოსწავლეზე გათვლილი სკოლისა და 100 ბავშვზე გათვლილი საცხოვრებელი კამპუსისგან შედგება. პროექტი, რომლის ღირებულებაც 11 მილიონ ლარზე მეტია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ — საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელა. განათლების ქალაქში 2022 წელს იწყება კოლეჯ „ბლექსის“ მშენებლობა. ხოლო კოლეჯის მშენებლობაც — 2023 წელს დასრულდება. ამასთან, განათლების ქალაქში სახელოვნებო სკოლას ააშენებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. პროექტის ღირებულება 17 მლნ ლარია. სახელოვნებო სკოლა 2 500 მოსწავლეზე იქნება გათვლილი. პროექტში გათვალისწინებულია სასწავლო ოთახები, საამქროები, გალერეა, საკონცერტო და საკონფერენციო დარბაზები და ამფითეატრი ღია წარმოდგენებისათვის.

„ოცნების ქალაქის“ მშენებლობა უწყვეტად მიმდინარეობს

პანდემიის მიუხედავად ე.წ. „ოცნების ქალაქის“ მასშტაბური პროექტის სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით, უწყვეტად მიმდინარეობს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმში განაცხადა, სადაც, პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად, „ოცნების ქალაქის“ სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო. აჭარის მთავრობამ უკვე დაიწყო პროექტის მეორე ეტაპის განხორციელება, რაც ტერიტორიის სწორ ურბანულ განვითარებას, საგანმანათლებლო, საცხოვრებელი და რეკრეაციული სივრცეების შექმნას გულისხმობს. ამ ეტაპზე „ოცნების ქალაქის“ სამშენებლო ტერიტორიაზე სამი 12-სართულიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, დაახლოებით 582 ბინა მოეწყობა. სამუშაო პროცესში 120-მდე ადამიანია დასაქმებული. პრემიერ-მინისტრთან ერთად „ოცნების ქალაქში“ პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, პარლამენტის დეპუტატი ალექსანდრე ტაბატაძე და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი იმყოფებოდნენ.

ქართველები სახლში უსაფრთხოდ დაბრუნდებიან!

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი უნგრეთს ავღანეთში მყოფი საქართველოს 6 მოქალაქის დაბრუნებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის.

„მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო უნგრეთს ქაბულიდან ექვსი ქართველის ევაკუაციაში დახმარებისთვის. სოლიდარობისა და პარტნიორობის ეს გამოვლინება ამ რთულ დროს ძალიან მნიშვნელოვანია. მჯერა, რომ ქაბულში დარჩენილი სხვა ქართველები სახლში უსაფრთხოდ მალე დაბრუნდებიან“, — წერს სალომე ზურაბიშვილი Twitter-ზე. საქართველოს მოქალაქეები ავღანეთში, კერძო კონტრაქტით, ამერიკულ კომპანიაში იყვნენ დასაქმებულები.

ერთი თვის წინ გახსნილ საწარმოს პროდუქცია ექსპორტზე გააქვს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთ ბენეფიციარს — რუსთავში მდებარე მეტალურგიულ საწარმო „ეი-ემ-ბი-ალოისს“ ესტუმრა.

ნათია თურნავა ადგილზე გაეცნო საწარმოში მიმდინარე სამუშაო პროცესს. საწარმო ევროპული სტანდარტების სრული დაცვით აშენდა და ე.წ. „მშრალ ფილტრებს“ ამზადებს, რაც გარემოზე ზემოქმედების მავნე რისკს გამორიცხავს.

„2019 წელს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება აღმოვუჩინეთ კომპანია „ალოისს“. საწარმომ სულ რამდენიმე თვის წინ დაიწყო ფუნქციონირება და უკვე აქტიურად გააქვს პროდუქცია ექსპორტზე რამდენიმე ქვეყანაში. უახლოეს მომავალში კომპანია, რომელიც საწარმოში 120 ადამიანს ასაქმებს, გაფართოებას გეგმავს და, რა თქმა უნდა, ჩვენ კიდევ ერთხელ დავეხმარებით. ზოგადად, მინდა ვთქვა, რომ ჩვენი პროგრამა უფრო მეტად დაეხმარება ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებს“, — აღნიშნა ნათია თურნავამ.

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფერმა — ტიბაანში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანში, შპს „ბუტრანას“ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფერმის მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო.

სოფელ ტიბაანში ახალი ფერმერული მეურნეობა სექტემბრის მეორე ნახევარში ამოქმედდება. ფერმის აღჭურვასა და მის გამართულ მუშაობას კომპანია „კავკასიის გენეტიკა“ განახორციელებს.

„ახალი მეურნეობა იქნება სრულყოფილი სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსი, სადაც, ერთი მხრივ, სანაშენე მიმართულება იფუნქციონირებს, ხოლო, მეორე მხრივ, გადამზადდება პერსონალი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ტიპის საწარმოები სხვა რეგიონებშიც კეთდება, რაც ნიშნავს, რომ მეცხოველეობა ვითარდება სწრაფი ტემპით. სახელმწიფოს მხარდაჭერით, როგორც სოფლის მეურნეობის პრაქტიკულად ყველა მიმართულებით, მეცხოველეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება. ყველაფერი კეთდება, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობა და სანაშენე მეურნეობა თანამედროვე სტანდარტებით განვითარდეს. ჩვენ გვაქვს ათწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მესაქონლეობის მიმართულებითაც გათვალისწინებულია“, — განაცხადა გიორგი ხანიშვილმა. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვილი ფერმის მოსაწყობად შპს „ბუტრანამ“ შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა, სესხის თანხა 325,000 ლარს შეადგენს.



როგორ გადაარჩინეს ქართველმა და ოსმა ერთმანეთი სიკვდილს...

ეს არის ოსი და ქართველი ბიჭის მეგობრობის ისტორია, რომლებმაც ერთმანეთი სიკვდილისგან იხსნეს

„პირველად ტყვია რომ გავისროლე, თან პირჯვარი გადავისახე, ნეტა არავის მოხვდეს-მეთქი, მაგრამ ადამიანი თანდათან ეჩვევა ყველაფერს. ყველა ომში და კონფლიქტში ვმონაწილეობდი. ვგრძნობდი, რომ სიკვდილი მუდამ გვერდით დამდევდა, მთელი ჩემი ახალგაზრდობა ხელგადახვეული ვიარე სიკვდილთან, ხან ისე გავთამამდებოდი, თვალებშიც კი ჩამხედავდა, მაგრამ მაინც არ მიმეტებდა. ჰოდა, ასე გათამემებულს სიკვდილის აღარ მეშინოდა“, — მეუბნება ვეფხო და მთანხმდება, თავისი ამბავი მიამბოს.

ტყვედ ჩავარდნილი ოსები. გადარჩენილი სიცოცხლე

დედა პურის გამოსაცხობად ემზადებოდა, ცომი მოზელილი ჰქონდა, თონეც უკვე გახურებული იყო, მაგრამ ვეფხოს სთხოვა, ბაღში ჩაირბინე და ფიჩხი ამოიტანე, ცეცხლს შეიძლება შეშის დამატება დასჭირდესო. ვეფხომ სამხედრო ფორმა გადაიცვა და გარეთ გავიდა. მაშინ სოფელში ყველა სამხედრო ფორმით და იარაღით დადიოდა. როდის დაიწყებოდა მორიგი შემოტევა, არავინ იცოდა. 90-იანი წლების პირველი ომი ცხინვალთან ახალი დასრულებული იყო. სოფლებში შეიარაღებული ახალგაზრდები მორიგეობდნენ. ცხინვალთან ყველაზე ახლოს მდებარე სოფელ ერგნეთშიც ასე იყო.

ვეფხო ბაღისკენ წავიდა. ტირიფონის არხის ხიდთან შეიარაღებული თანასოფლელები შეამჩნია. ხიდთან თეთრი ფერის ჟიგული იყო გაჩერებული. მანქანა უკვე ალყაში მოექციათ. თანასოფლელებმა ვეფხოს უთხრეს, მანქანაში შეიარაღებული ოსები სხედან და უნდა დავხოცოთო. ალყაში მოქცეულ მანქანაში ზედმეტად არავინ ინძრეოდა. ბიჭებს ავტომატები უკვე მზად ჰქონდათ. ვითარება დაძაბული იყო. ერთი არასწორი მოძრაობა და მანქანის მიმართულებით ცეცხლი გაიხსნებოდა. ვეფხომ იკითხა, ოსები სოფელში რატომ შემოვიდნენო? მანქანა გაუფუჭდათ — იყო პასუხი. იქნებ ეს ხალხი სამტროდ არ არის მოსული, რატომ უნდა დავხოცოთო, დაფიქრდა ვეფხო. ვეფხოს სოფელში სიტყვა ეთქმოდა. თანასოფლელები დაამშვიდა და მინებაწეულ მანქანასთან მარტო, უიარაღოდ მივიდა. იქ მსხდომებს ოსურად დაელაპარაკა და სოფელში გაჩერების მიზეზი ჰკითხა. მანქანიდან ერთ-ერთმა გამართული ქართულით უპასუხა. ღვინის საყიდლად გამოვედით და მანქანა გაგვიფუჭდაო. თუ სამტროდ არ მოსულხართ, დაგეხმარებითო, უთხრა ვეფხომ და ერთ მათგანს წაყოლა შესთავაზა. ოთხნი მანქანაში დარჩნენ. ერთი კი გაჰყვა, ის, ქართული რომ კარგად იცოდა.

სახლში მიიყვანა, საბუქსირე მავთული მოუძებნა, ღვინო და არაყიც ჩამოუსხა და უთხრა, ქართული ტრადიციის მიხედვით ღვინო აქ, სარდაფშივე, კასრაძეებში, კასრის თავზე უნდა გასინჯოო. დალიეს, ერთმანეთი გაიცნეს, ცხინვალელს სერჟიკა ერქვა. ისაუბრეს, ვეფხო თან აკვირდებოდა, ამოწმებდა, იქნებ მაინც სამტროდ არის მოსულიო. ლაპარაკში აღმოაჩინეს, რომ საერთო მეგობრებიც ჰყოლიათ. 80-იანი წლების ბოლოს, ვეფხია კასრაძემ სკოლა ცხინვალში დაამთავრა. შემდეგ თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და პარალელურად ცხინვალის თეატრშიც მუშაობდა. ომის შემდეგ, 20 წლისა იყო, ერგნეთში რომ დაბრუნდა. ცხინვალში კი მისი ნაცნობ-მეგობრები დარჩნენ. ზოგიერთ მათგანს ხელში იარაღი ეჭირა. ჰოდა მარანში ჩაყვანილ სერჟიკასთან ბევრი საერთო ნაცნობი აღმოაჩნდა. ღვინოს შეყვნენ, რამდენიმე ჭიქა დალიეს და მანქანაში მყოფები დაავიწყდათ. როცა გაახსენდათ, ღვინო, არაყი, პური და საბუქსირე ტროსი აიღეს და მანქანისკენ წავიდნენ. იქ მყოფი ოსი ბიჭები უკვე ოფლში ცურავდნენ. ფიქრობდნენ, რომ მათი მეგობარი უკვე დახვრიტეს. ვეფხომ ბიძაშვილს მანქანა გამოართვა, გაფუჭებული „07“-ს დაუბეს და ცხინვალის შესასვლელამდე მიიყვანეს. იქ დაემშვიდობნენ. მანამდე კი, ვეფხომ, შეიარაღებულ თანასოფლელებს ოსების ტყვედ აყვანა გადააფიქრებინა.

„მე ვუთხარი, ბიჭებო, ჩვენები ჰყავთ დაჭერილი, თამარაშნელი ცოლ-ქმარი. ჩვენ რომ ახლა ესენი დავხოცოთ, იმათაც იმ წუთში დახვრეტენ, როგორც კი ამათი სიკვდილის ამბავს გაიგებენ. ჩვენ აქეთ ვართ, ცხინვალის იქით ქართული სოფლებია მოყოლილი, ხალხი ტყეზე გადადის და გადმოდის და იმათ სოცოცხლეს ყოველ წუთს საფრთხე დაემუქრება-მეთქი. ვიცოდით, ერთი ოსი რომ მომკვდარიყო, სამ-ოთხ კაცს გვიკლავდნენ სანაცვლოდ. ტყეზე უსაფრდებოდნენ ხოლმე. სისხლის აღება იციან. ომში რაზეა საუბარი, როცა მოწინააღმდეგე გებრძვის, უნდა იბრძოლო და გაიმარჯვო. მტერი უნდა დაამარცხო, მაგრამ როცა კაცი ღვინოზეა მოსული, საფრთხეს არ გიქმნის, არაა კაცური, მას გაუსწორდე. ჩემთვის ტყვეების წამებაც მიუღებელია და ამის გამო ჩემიანებთანაც არაერთი დაპირისპირება მომსვლია“.

ტყვეობა. გადარჩენილი ვეფხო

გაშვებული ოსების ამბავი ერგნეთში მალე დაავიწყდათ. წელიწადზე მეტი იყო გასული. ვეფხო ნათესავების სანახავად, ერგნეთიდან დიდი ლიახვის ხეობაში ტყით გადავიდა. იქ სუფრა გაიშალა და გვიანობამდე შემორჩა.

შემდეგ თამარაშენში (პირველი ქართული სოფელი იყო, ცხინვალის ჩრდილოეთით. 2008 წლის ომის შემდეგ განადგურებულია) მეგობრებთან გადაინაცვლა, იქაც შეიპატიჟეს. უკვე გვიანი იყო. დარჩენა შესთავაზეს, ტყეზე გადასვლა საშიში იყო. ცხინვალის შესასვლელთან რუსები იდგნენ. ვეფხომ აიხირა, ცხინვალი უნდა გავიარო და ერგნეთში ეგრე უნდა გადავიდეო. ვერ გააჩერეს. თეატრი მომენატრა და იქ უნდა გავიაროო, უთხრა მეგობრებს. არ უშვებდნენ, მაგრამ გაიპარა. ცხინვალის მისადგომთან რუსების სამშვიდობო ჯარს მიადგა. თეატრის გავლით ერგნეთში გამიყვანეთ და ფულსაც მოგცემთ და ღვინოსაცო, შესთავაზა. რუსებმა უარი თქვეს. ცხინვალში მაინც შეიპარა. გვიანი შემოდგომა იყო. ციოდა, ცხინვალში ცრიდა. ხალხი ქუჩაში აღარ იყო. თეატრთან მივიდა, მონატრებულ შენობას დიდხანს უყურა, შემდეგ კი ერგნეთისკენ აღმართს დაადგა. ერთერთ საგუშაგოზე რუსულად იკითხეს — ვინ მოდისო. ვეფხომ ოსურად უპასუხა - გურძიათ ლაპუ (ქართველი ბიჭიო). იარაღის გადატენვის ხმა გაიგო. დაითვალა. რვა კალაშნიკოვში ტყვია გასავარდნად მოემზადა. წრეში მოაქციეს და შტაბში შეიყვანეს. მომენტალურად გამოფხიზლდა. დაკითხეს. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტური ბილეთი უპოვეს. ვერ დარწმუნდნენ, რომ არ იბრძოდა. უკვე შეურაცხყოფას აყენებდნენ.

„ყველაზე მეტად იმ წუთში რაც ვიგრძენი, ეს იყო სინანული, სინანული იმისა, რომ ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი. ჩემი ფეხით მივედი და ტყვედ ჩავვარდი. როცა შეიძლება, რომ ბრძოლაში კაცურად მოვკვდე, უკვე ვიცოდი, რომ აქ წამებით მომკლავდნენ. თუმცა მაშინ გადავწყვიტე, რომ წამებას ბოლომდე გავუძლებდი. ტკივილს მიჩვეული ვიყავი, ბავშვობიდანვე ისე მზრდიდა ჩემი ძმა, რომ ყველაფრის ატანას ვსწავლობდი. შიში არ მიგრძვნია. სიტყვით არაფერს ვუთმობდი, და ალბათ მაგიტომაც შეეპარათ ეჭვი, რომ მხოლოდ სტუდენტი ვიყავი და ნაბრძოლი არა. ვიღაცას რაციით დაუკავშირდნენ და იმან გასცა ბრძანება, ჩემ გარეშე არ მოკლათო. არადა, ერთი 20-25 კაცის ტყვე ვარ და ზოგი ამბობს, გავიყვანოთ და დავხვრიტოთო, ზოგი ამბობს, ვაწამოთო. ვიღაცა ოს ბიჭსაც დაურეკეს, რომელსაც ძმა ახალი მკვდარი ჰყავდა და მასაც ეუბნებოდნენ, წაიყვანე და რაც გინდა, უყავიო. ძელზე ხელებით დამკიდეს, წამება დაიწყეს, ახლაც ვერ ვწევ მარჯვენა ხელს ზევით. გათენებამდე ვეკიდე ასე. ის მეთაურიც არ ჩანდა, ვისაც ელოდებოდნენ. ამასობაში საგუშაგოზე ცვლა შეიცვალა. ვაგონებიდან, რომლებიც კაზარმის ფუნქციას ასრულებდა, სხვა ხალხი გამოვიდა. ახლა ეს ხალხი ითხოვდა ჩემ დახვრეტას. აუხსნეს, რომ მეთაურს ელოდებოდნენ. უცებ ვიღაცამ დაიძახა — აუ, ამას მე ვიცნობო. იქ კი ვიფიქრე, რომ დავიწვი და ჩემი მებრძოლობის შესახებ ვეღარაფერს დავმალავდი. მომიახლოვდა და მეუბნება — შენ ბიჭო, ის ვეფხო არა ხარო და გადამეხვია. ხელში ამიყვანა და ჩამიხუტა. სერჟიკა აღმოჩნდა. სხვებს მიუბრუნდა და უთხრა, ამ კაცმა ხუთი კაცი სიკვდილს გადაგვარჩინაო. უნდა გავუშვათო, დაიჟინა სერჟიკამ, სხვები უკმაყოფილოები იყვნენ. წოდება არ ჰქონდა ისეთი, რომ გადაწყვეტილება მიეღო, მაგრამ ყველას ეუბნებოდა არ მოგაკვლევინებთო. ჩერეზ მოი ტრუპო“.

ამის შემდეგ ოსმა მებრძოლებმა ბევრი ითათბირეს, ერთმანეთზეც იწიეს. სერჟიკამ არ დათმო. ჯერ მე მესროლეთო, ამბობდა. საბოლოოდ ვეფხიას ხელები შემოხვია და ერგნეთისკენ წაიყვანა. ქართველების საგუშაგომდე მიაცილა.

„გამომშვიდობებისას ერთი მითხრა — ბიჭო, აქ რამ შემოგიყვანაო. მე რომ არ ვყოფილიყავი, ხომ იცი, აქ რა გელოდებოდაო. მე ვუთხარი, გახსოვს შენი სიტყვები, მაშინ ქართველებმა რომ დაგიჭირეს, რა მიპასუხე, როცა იგივე გკითხე-მეთქი? კტო ნე რისკუეტ, ტოტ ნე პიოტ შამპანსკოვო. ეს ისტორია იცით რატომ მოგიყევით?.. როცა ადამიანი სწორად მოიქცევი, ის აუცილებლად სიკეთით დაგიბრუნდება. როცა შენ სიცოცხლეს არ წაართმევ უდანაშაულო კაცს, ვაჟკაც კაცს. ისინიც მეომრები იყვნენ. იმათაც ისევე უყვართ ცხინვალი, თავისი ერი, როგორც ჩვენ, ჩვენ სხვა რამემ დაგვაპირისპირა ერთმანეთს. ეს ორი ძმა ერი. ეს ჩვენი ამბები რომ მკვლელობებით დასრულებულიყო, უფრო დიდი უფსკრული გაჩნდებოდა... იმ ჩემ თანასოფლელებსაც ვენაცვალე, რომ გამიწიეს ანგარიში და სერჟიკა ცოცხალი დატოვეს და გავუშვით... მაშინ სერჟიკა და ის ოსი ბიჭები რომ გავუშვით, ვინც კი ქართველი ჰყავდათ დაჭერილი, მათაც ყველა გაუშვეს და ის წელიწად-ნახევარიც ტყვია აღარ გავარდნილა. იყო ეგეთი მომენტები, როცა ერთ ან მეორე მხარეს ღირსეულ საქციელს ვინმე ჩაიდენდა, ვითარებაც ჩაწყნარდებოდა ხოლმე“.

რატომ გადაწყვიტა, რომ მოეყოლა?

ვეფხია კასრაძე ახლა ერგნეთში ცხოვრობს, მიწას ამუშავებს, მოსავალი მოჰყავს, თბილისშიც აქვს საქმე. მსახიობს ხანდახან სერიალებშიც იწვევენ. 5 შვილი ჰყავს. ბავშვებისთვის ეს ამბავი ჯერ არ მოუყოლია, ცოლმაც არ იცოდა ამ ისტორიის დეტალები. ჩემთან ერთად მოისმინა. არ უყვარს ვეფხოს ომისდროინდელი ამბების გახსენება.

„ეს ისტორიაც იმიტომ მოგიყევით, რომ ასეთი ადამიანური ისტორიები იქნება გზა ამ ხალხთან, ოსებთან დაკავშირების და დალაპარაკების. რამდენჯერმე მოვიკითხე სერჟიკა. ვიცოდი, რომ ამ ამბების მერე ვლადიკავკაზში წავიდა, მერე აღარ ვიცი მისი ამბები და აუცილებლად მოვძებნი. მე რომ ის მოვიწვიო, დარწმუნებული ვარ, მენდობა და ჩამოვა“.

რომ არა რუსების ვერაგი პოლიტიკა, ჩვენ და ოსები აქამდე შერიგებულები ვიქნებოდითო, ასე დაასრულა თავისი ამბის თხრობა ვეფხომ, თვალი შეავლო სახლის კედლებზე, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დარჩენილ ნატყვიარებს და იქით გაიხედა, სადაც მავთულხლართები ცხინვალსა და ერგნეთს ერთმანეთისგან ყოფს.

გოგა აფციაური,
რადიო თავისუფლების
კორესპონდენტი შიდა ქართლში.

აურზაური ნაციონალების „სალხინეთში“

„ნაციონალურ მოძრაობაში“ დიდი დაპირისპირება დაიწყო, რომელიც შესაძლოა, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ნიკა მელიას და „ნაცმოძრაობის“ გაყრითაც კი დასრულდეს. მედიაში ჟონავს ინფორმაცია, რომ მელიასა და სააკაშვილს შორის ურთიერთობა იმდენად დაძაბულია, რომ მელიას მესამე პრეზიდენტი ფინანსურ პრობლემებსაც კი უქმნის. მელია ფაქტობრივად, პარტიაში რევოლუციის მოწყობას ცდილობს, ხოლო მას ამის საშუალებას ის დაჯგუფება არ აძლევს, რომელიც უშუალოდ სააკაშვილს ემორჩილება. მელიას აქვს ამბიცია, რომ ენმ-ის ხელისუფლებაში ყოფნის დროს რეჟიმის ნაწილი არ იყო და ძველი ცოდვებისგან სუფთაა, ამიტომ თავისუფლად მოქმედების საშუალება უნდა მიეცეს.

ანალიტიკოსები ელიან, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობაში“ სერიოზული რყევები იქნება და არაა გამორიცხული, მელია ცალკე პოლიტიკურ მოთამაშედაც ვიხილოთ. მელიამ შესაძლოა, ოპოზიციური ალიანსი შექმნას, სადაც ზურაბ ჯაფარიძესა და ელენე ხოშტარიასთან ერთად იქნება. თუმცა რა რეიტინგი ექნება პარტიის გარეშე მელიას, რთული სათქმელია, ვინაიდან ბოლოდროინდელმა მოვლენებმა მისი პოლიტიკური რესურსი გაფლანგა.

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** ფიქრობს, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ დაწყებული შიდა დუღილი ადგილობრივი არჩევნების შემდეგ აფეთქდება.

„ნაციონალურ მოძრაბაში“ რომ შიდა რყევებია დაწყებული, ეს გარე დამკვირვებლისთვისაც ადვილი შესამჩნევია. არაა გამორიცხული, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მელია ცალკე მოთამაშედ ვიხილოთ. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის შეესაძლოა, ელენე ხოშტარიას პარტიაშიც გადავიდეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ სააკაშვილი მელიას დაფინანსების კუთხითაც კი პრობლემებს უქმნის. თუმცა რა სახის მოთამაშე იქნება მელია, რთული სათქმელია, რადგან მისი რეიტინგი ძირითადად პარტიულია ან კიდევ — სააკაშვილის. მართალია, ენმ-ის ამომრჩევლის ნაწილში სააკაშვილის ჩამოუსვლელობამ ნიჰილიზმი გააჩინა, მაგრამ მას ე.წ. სექტანტური ტიპის ამომრჩეველი ჰყავს, რომელიც მისი ერთგულია. მელიას ვურჩევ, თუკი „ნაციონალურ მოძრაობას“ დატოვებს, მისი ყოფილი წევრებისგან თავი შორს დაიჭიროს, რადგან მათთან ალიანსი არაფერში წაადგება.

მელიას წამოსვლით, რა თქმა უნდა, პარტიის ორად გახლეჩის საფრთხე არსებობს და ამის კონტურებიც გამოჩნდა. ენმ-ის ამომრჩეველმა ამ არჩევნებზე 5 ციფრთან ერთად ხოშტარიას 32 ნომერიც უნდა შემოხაზოს. რატომ გამოდის პარტია ორი ნომრით, ჩემთვის გაუგებარია. არაა გამორიცხული, რომ მელია ამით ტრამპლინს ამზადებდეს და ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ხოშტარიას პარტიაშიც ვიხილოთ“, — ამბობს სალუქვაძე.

მისივე თქმით, ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ადგილობრივი არჩევნებისთვის არ ემზადება. ისინი ემზადებიან არა არჩევნებისთვის, არამედ არჩევნების მეორე დღისთვის. მათთვის მთავარი რიცხვი 2 ოქტომბერი კი არა, არამედ 3 ოქტომბერი იქნება, როცა ყვირილს ატეხენ, რომ არჩევნები „გაყალბდა“.

„ნაციონალური მოძრაობა“ და ოპოზიცია ერთ წრეზე სიარულმა იმდენად დააზიანა, რომ ყველა კვლევების მიხედვით მათ პარტიას 1%-იანი ან 2%-იანი რეიტინგი აქვს. ამიტომ ოპოზიციას ვურჩევ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ნუ ჩაჰყვებიან საფლავში და ადგილობრივი არჩევნების შემდეგ 2024 წლის არჩევნებისთვის დამოუკიდებლად მოემზადონ, რადგან ენმ-ის ორბიტაზე ყოფნით ისინი საკუთარ პოლიტიკურ მომავალს, უბრალოდ, განაჩენს გამოუტანენ“, — ამბობს სალუქვაძე.

რატომ შეიძლება ნიკა მელიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის დაპირისპირება გაჩენილიყო და ადგილობრივი არჩევნების შემდეგ არსებობს თუ არა იმის ალბათობა, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ახალი პოლიტიკური გაერთიანებები ვიხილოთ? — კითხვაზე ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** გვპასუხობს, რომ ენმ გაჩენილი უთანხმოების რამდენიმე მიზეზი შეიძლება არსებობდეს. პირველ რიგში მელიას აქვს ამბიცია, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ წარსულისგან სუფთაა და ამიტომაც პარტიის ძველი სახეებისგან გათავისუფლება და ე.წ. რებრენდიგი უნდა. თუმცა ენმ-ში არსებობს დაჯგუფება, რომელიც სააკაშვილის გარდა არავის ემორჩილება და მელიას ერთ სიტყვასაც არ ისმენენ.

„ნიკა მელიასაც ხომ აქვს თავმოყვარეობა? კარგად ხედავს, რომ ამ პარტიაში მისი ყოფნა დღითიდღე მისი პოლიტიკური მომავლისთვის საფრთხის შემქმნელია. ენმ-ის ძველი სახეები, რომლებიც უშუალოდ სააკაშვილის გარდა არავის ემორჩილებიან, ადრე თუ გვიან, თავიდან მოიშორებენ. მელიას ფაქტობრივად არაფრის უფლება არ აქვს, თუკი ამას სააკაშვილი არ დაადასტურებს. ვითომ ე.წ. პარტიის რებრენდიგიც ჩავარდა. პარტიაში გავლენები ისევ ძველ ჯგუფს აქვს და მელია ხედავს, რომ ის რეალურად სააკაშვილის სათამაშოა, რომელსაც რასაც უნდა იმას ათქმევინებს და გააკეთებინებს.

მან კარგად იცის, რომ თბილისში ბრძოლა უკვე წაგებული აქვს, ამიტომაც საკუთარი პოლიტიკური მომავლის გადასარჩენად გაქცევაზე ფიქრი დაიწყო. არ გამოვრიცხავ, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ზურაბ ჯაფარიძემ, ელენე ხოშტარიამ და ნიკა მელიამ ცალკე პოლიტიკური პლატფორმა შექმნან. თუმცა რა მომავალი ექნებათ, ვერ გეტყვით. თუ ეს ადამიანები „ნაციონალურ მოძრაობას“ მთლიანად არ გაემიჯნებიან, საზოგადოება მათ დამოუკიდებელ მოთამაშეებად არ აღიქვამს. არ ვიცი, მელიას პოლიტიკური რესურსი რა არის, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ თუ მან პარტია დატოვა, მისი ორად გაყოფა მოხდება და პარტია ახალგაზრდების ინტელექტუალურ რესურსს დაკარგავს. ადგილობრივი არჩევნები „ნაციონალებისთვის“ დიდი ცვლილებების პერიოდი იქნება და ოპოზიციურ ფლანგზეც საინტერესო გადაადგილება გველის“, — ამბობს ქართველიშვილი.

ლიკა ბერიკაშვილი

ბესიკ ალადაშვილი: ოპოზიციური პარტია თუ გადაკვეთს წითელ ხაზს, ის ტერორისტული ორგანიზაცია შეიძლება გახდეს!

„სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის, საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე ბესიკ ალადაშვილი ამბობს, რომ სააკაშვილის მიზანი არის დარჩეს პოლიტიკურ სივრცეში, რადგან იგი უკვე არავის არ აინტერესებს და მათ შორის, არც თავის პარტიაში. ალადაშვილის შეფასებით, ქვეყანა ოქტომბრის ქაოსისკენ მიექანება და სქემა იგივეა — „ნაციონალური მოძრაობა“ არ მიიღებს არჩევნების შედეგებს, დაიწყება ისევ ქუჩის პროცესები და კარვების გაშლა, რაც ხელს აძლევს ჩვენს მტერს — რუსეთს.

— მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ პოსტი, რომელიც მის გვერდზე აღარ იძებნება, მას არ დაუწერია და აცხადებს, რომ სუს-მა მოახერხა მისი გვერდის გატეხვა. როგორ ფიქრობთ, ამ დონეზე დავიდა ქვეყნის უსაფრთხოება, რომ სააკაშვილის ფეისბუქ პოსტები წეროს და შალოს? სააკაშვილის ეს განცხადებები არ არის ქვეყნის წინააღმდეგ დივერსია? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ სააკაშვილმა, რომელიც KGB-ს ჯარში მსახურობდა, კარგად იცის ეს ტექნოლოგიები...

— სააკაშვილი მსახურობდა საბჭოთა ჯარში, უშიშროებასთან ფორმალური შეხება ჰქონდა. მერე რა იყო და როგორ, არ ვიცი. სამხედრო კონტრდაზვერვა უკვე პერსპექტიულ ჯარისკაცებს „ავერბოვკებდა“. ეს ყოველთვის ხდებოდა, შეიძლება კავშირები იქიდან აქვს.

რაც შეეხება სააკაშვილს, მისი მიზანი არის დარჩეს პოლიტიკურ სივრცეში, ვინაიდან, როგორც ხედავთ, იგი უკვე არავის არ აინტერესებს არც თავის პარტიაში და იმედი მაქვს, რომ ნიკანორ მელია მიშას ჩამოაცილებს პარტიას. სააკაშვილის ყველა განცხადება არის მისი უმეცრების დადასტურება და ჩემი აზრით, მისი პარტია უნდა გაემიჯნოს სააკაშვილის უმეტეს განცხადებებს.

— მაგრამ ვერ ემიჯნებიან, თუ უფრო არ ემიჯნებიან?

— თუ პარტიის განახლება არ უნდათ, ასეთ შემთხვევაში მიჰყვებიან სააკაშვილს. ყველა ვხედავთ, რომ სოციოლოგიური კვლევების დუელია. არ მინდა ამის სერიოზული შეფასება, იმიტომ, რომ ჩემი აზრით, ობიექტური არც ერთი კვლევა არ არის.

— ყველა კვლევა ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა დარჩეს პოლიტიკაში, მაგრამ სააკაშვილთან ერთად, თუ მის გარეშე, ამ კითხვას სოციოლოგია არ სვამს...

— ვხედავთ, რომ პარტია პოლიტიკურად კვდება. მისი მხარდამჭერების NDI-ის და IRI-ის მიერ ჩატარებული კვლევებიც აჩვენებს, რომ თუ საპარლამენტო არჩევნებზე მხარდაჭერა იყო 17%, დღეს გაცილებით ნაკლებია. რეალურად „ნაციონალური მოძრაობა“ კვდება. როგორც ე.წ. „ევროპულ საქართველოს“ მოუვიდა, ნაცებსაც ასე მოუვა.

— „ნაციონალური მოძრაობის“ მიზანი რა არის, გასაგებია — უნდათ ხელისუფლებაში დაბრუნება, მაგრამ ამ პოლიტიკური პარტიის ინტერესში არ არის პარტიის განახლება. მეტიც, არ აღიარა არჩევნების შედეგები და გავიდა ქუჩაში, მაგრამ საზოგადოებამ ვერ გაიგო, რატომ იდგნენ ქუჩაში. შემდეგ დაბრუნდნენ პარლამენტში. ახალაც ზუსტად იგივე ნაბიჯებს დგამენ, სააკაშვილი გამოდის და ისევ ამბობს, რომ მოდის, ანუ, იგივე წრეზე ტრიალებენ.

— სააკაშვილის ბაქიბუქი ეს არის ისტორიული ფენომენი და ალბათ, სხვადასხვა პროფესიის ხალხი უნდა დაინტერესდნენ. შეიძლება თვითონ სჯერა თავისი ბაქიბუქების. ახლა აგვისტოა და ყველაზე საშინელი დღეები აგვისტოს ომს უკავშირდება. მე ვთხოვ თქვენს მკითხველს, რომ ჩახედონ დავითაიას კომისიაზე სააკაშვილის სიტყვებს, სადაც ის ამბობს — „58-ე არმია დავამარცხეთ, იქ ათასობით რუსული სამხედრო ტექნიკა გავანადგურეთ, ჩვენი სამხედრო ტექნიკა გადარჩენილია, ტყეშია და ჩვენ გავიმარჯვეთ“. ამას ამბობს 2008 წლის ნოემბრის ბოლოს — ის არ შეცვლილა. სააკაშვილის ფსიქოპოლიტიკური პორტრეტი რუსებს კარგად აქვთ შესწავლილი.

რაც შეეხება ზოგადად ოპოზიციურ პარტიებს, ობიექტური მოცემულობაა, რომ ყველა ოპოზიციურ პარტიას აწყობს ქვეყანაში დესტაბილიზაცია. აწყობს იმ ჩარჩოებში, რაც არ სცილდება კონსტიტუციურ ფარგლებს. ანუ, გაუარესებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, ხანძარი, მკვლელობა და ა.შ. ყველა ოპოზიცია ამას იყენებს, ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება. ეს არის ოპოზიციის ბრძოლა — იმის ჩვენება, რომ დღეს ხელისუფლებას არ შეუძლია ქვეყნის მართვა, მე მოვალ და შევძლებ ქვეყნის მართვას.

ჩვენ რამდენჯერმე შევძელით, როდესაც მთელი ქვეყანა ერთიანი ვიყავით — „მრგვალი მაგიდა“ და ზვიად გამსახურდია; 1990 წლის არჩევნები და ერთიანობა, მაგრამ ერთ წელიწადში სამოქალაქო ომით დამთავრდა. შევარდნაძის პერიოდშიც, განსაკუთრებით ბოლო წლებში, როდესაც ქვეყანა უკვე აშკარად ევროპული გახდა ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობის კუთხით, შევარდნაძემ ბოლომდე ვერ გაბედა დემოკრატიული რეფორმების ჩატარება და მივიღეთ ე.წ. „ვარდების რევოლუცია“.

იხ. 6 გვ.

„2030 წელს საქართველოს ყველა მოქალაქე გამართულად ისაუბრებს ქართულ ენაზე“, – ასეთია პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის კონკრეტული ამოცანა. პრემიერის განცხადებით, მისთვის ძალზე მტკივნეულია ის ფაქტი, რომ დღეს ბევრი ჩვენი მოქალაქე ვერ საუბრობს და ვერ წერს ქართულ ენაზე. ამიტომ 2030 წელი გარდამტეხი უნდა გახდეს ამ თვალსაზრისით.

როდის გაჩნდა ენობრივი ბარიერის პრობლემა ჩვენს არაქართულენოვან მოსახლეობასთან? ამის შესახებ ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული გვესაუბრება.

ავთანდილ არაბული:

სახელმწიფო ენის სწავლება – ეს უსერიოზულესი პრობლემაა!

– პრემიერის ინიციატივით, 2030 წელს საქართველოს ყველა მოქალაქე გამართულად ისაუბრებს ქართულად. უკვე წლებია, ყველა ხელისუფლების პირობებში არაქართულენოვანი მოსახლეობა ქართული ენის შესწავლას არ მიიჩნევს პრიორიტეტად. განსაკუთრებით, რომელი რეგიონისთვის რჩება ეს სერიოზულ გამოწვევად?

– ეს უსერიოზულესი პრობლემაა. ამიტომაც მიაქცია პრემიერმა ყურადღება. აუცილებელია არაქართულენოვანი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაცია, გაუცხოების დაძლევა, რადგან ეს რეგიონები განსაკუთრებით, 90-იანი წლების შემდეგ იზოლაციაში მოექცა. ნაწილობრივ, ეს რეგიონული განვითარების საკითხსაც უკავშირდება, ასევე, უკავშირდება განათლებას, ეკონომიკას. ამან გამოიწვია, რომ, ადრინდელისგან განსხვავებით, თაობები გაიზარდა, რომელთაც ქართული საერთოდ არ იციან, ანუ სახელმწიფო ენა არ იციან. ეს საკითხი აისახა კიდეც სახელმწიფო ენის კანონში, რომელიც პარლამენტმა 2015 წელს მიიღო და 2016 წლის თებერვლიდან ამოქმედდა. მოგვიანებით დაარსდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, როგორც ჩანს, ეს დეპარტამენტი კვირიკაშვილმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა, ორი წელი აჯანჯლებდა ამ საქმეს და 2018 წლიდან იძულებული გახდა, შეექმნა ეს დეპარტამენტი, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. არადა, ამაზე იყო ძირითადი იმედი დაფუძნებული, რომ სახელმწიფო უწყებას მიეხედა ამ პრობლემისთვის. ცხადია, საქართველოს მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა. უფრო მეტიც, საჯარო მოხელე ვალდებულია იცოდეს სახელმწიფო ენა. თუმცა არაქართულენოვან რეგიონში საჯარო მოხელეების უმეტესობა არ ფლობს სახელმწიფო ენას. უპირველეს ყოვლისა, ეს მოთხოვნა უნდა განხორციელდეს.

– აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან კომპაქტურად მცხოვრებ მოსახლეობას გარე კომუნიკაცია უჭირს და ენობრივი ბარიერი ექმნება, მაგრამ რამდენად სურთ თავად, შეისწავლონ ის ენა, სადაც ცხოვრობენ?

– სხვათა შორის, ამ რეგიონების მოსახლეობას საკმაო მოტივაცია აქვს ქართული ენის სასწავლებლად. არ უგულებელყოფენ ამას, ყველა ცდილობს, თავის შვილს ასწავლოს ქართული. საინტერესოა, რომ კანონპროექტის განხილვის დროს ახალქალაქიდან ჩამოსული სომეხი კაცი თავიდან აგრესიულად იყო განწყობილი, მაგრამ შემდეგ, როცა მიხვდა, რაზე იყო საუბარი, აღიარა, მე რაც სირთულეც მინახავს ქართული ენის არცოდნის გამო, ამას ჩემს შვილს რატომ ვუსურვებ, მასწავლეთ და თანახმა ვარო. მოწადინება რომ დიდია, ეს გამოჩნდა იქიდანაც, რომ ლევან ღვინჯილიას ხელმძღვანელობით ენის სახელმწიფო პალატამ ბევრი რამ გააკეთა ამ თვალსაზრისით. განსაკუთრებით, ქვემო ქართლში კონკურენცია იყო ქართულ სკოლებში ბავშვების შეყვანაზე. ვერ აუდიოდნენ, იმდენი განცხადება იყო ქართულ სკოლებში ბავშვების შესაყვანად. ასე გაიზარდნენ ბავშვები, რომლებიც შესანიშნავად ფლობენ ქართულს.

მარნეულში ერთ-ერთ ღონისძიებას დავესწარი, სადაც აღმოჩნდა, რომ იქაური სკოლის ბავშვები ქართულადაც წერდნენ ლექსებს. მოტივაცია არსებობს, ამიტომ სახელმწიფო მოვალეა, უზრუნველყოს ამ კონტინგენტის არა მხოლოდ სასკოლო, არამედ საჯარო მოხელეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლება. ადგილზე უნდა იყოს ასეთი ცენტრები გახსნილი.

– წლების წინ არაქართულენოვან რეგიონებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებზე მოთხოვნა არსებობდა, პედაგოგი, რომელიც ამ რეგიონებში წასვლას გადაწყვეტდა, მაღალი ანაზღაურებით იყო უზრუნველყოფილი. ამ პროექტმა გაამართლა?

– განსაკუთრებით, 90-იან წლებში მოხდა კავშირ-ურთიერთობების გაწყვეტა, ახლაც არაქართულენოვან მოსახლეობაში შვილების თაობა კი სწავლობს ქართულს, მაგრამ ეს ერთეულებია, რადგან, მოგეხსენებათ, ამ რეგიონებში დიდი კონტინგენტი ცხოვრობს. უმეტესობა ენის გარეშე რჩება. ვერც სკოლები უზრუნველყოფენ ამას, რადგან კადრები არ ჰყავთ. ის კადრი, რომელიც გაიგზავნა, დღესაც არის ბევრგან დარჩენილი, არაჩვეულებრივ საქმეს აკეთებენ ისინი. ამას წინათ ერთი სვანი ქალბატონი აჩვენეს, რომელიც წარმატებით მუშაობს არაქართულენოვან მოსახლეობასთან დმანისში, შესანიშნავი შედეგი აქვს, ასეთი ენთუზიასტები არიან, მაგრამ აუცილებელია, ეს სახელმწიფოებრივად ორგანიზებული იყოს, სათანადო რესურსებით, სახელმძღვანელოებით, ანუ მასობრივად უნდა მოხდეს ენის დაუფლება. არ უნდა იყოს დისკრიმინაციის საგანი, რომ ვიღაცამ მოახერხა სწავლება, ვიღაცამ არა. სახელმწიფო ენის კანონის თანახმად, ენის ფლობის დოკუმენტი სკოლის დამთავრების დიპლომია. მათ შორის, არაქართულენოვანი სკოლის დამთავრების დიპლომია იმის დოკუმენტი, რომ მოსწავლე ფლობს სახელმწიფო ენას. პროგრამულად, არაქართულენოვან სკოლებშიც გათვალისწინებულია, რომ საკმარისად იყოს შესწავლილი სახელმწიფო ენა. თუმცა რამდენად ისწავლება რეალურად, ეს სხვა საკითხია. თუ არ ისწავლება, ე.ი. ეს მოუგვარებელი საქმეა, თორემ, სინამდვილეში, ქართული ენის სწავლების საფუძველი მომზადებულია.

– ნაწილობრივ, ქართული სახელმწიფოც ხომ არაა დამნაშავე, რომ, როცა თანამდებობებზე ნიშნავს არაქართულენოვან მოხელეებს, ხომ უნდა იცოდეს, იცის თუ არა ამ ადამიანმა ქართული, პატივს სცემს თუ არა სახელმწიფო ენას?

– კანონი ამას მოითხოვს კიდეც, რომ საჯარო მოხელემ იცოდეს ქართული ენა. ზაურ დარგალი რომ არის, აზერბაიჯანელების წარმომადგენელი პარლამენტში, იმის მაგალითია, როგორ მშვენივრად მეტყველებს, ურთიერთობა არ უჭირს, გონებაგახსნილი ადამიანია. ასეთი ახალგაზრდები უნდა შეირჩნენ საჯარო მოხელეებად, ასეთი წარმატებული ადამიანი დანარჩენებისთვისაც ორიენტირია, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა ნიშნავს, ადამიანს გზა ხსნილი ექნება მაღალ თანამდებობებზე.

– ფსიქოლოგიურადაც არ დაშორდებიან ქართულენოვან მოსახლეობას.

– ჩვენს საზოგადოებას ყველაზე მტკივნეული პრობლემა აქვს ურთიერთგაუცხოება. თბილისში არ გვესმის ერთმანეთის და ვჭამთ ერთმანეთს, რეგიონები კი საერთოდ გაუცხოვდა. რეგიონალური მართვის პრობლემები არსებობს, მნიშვნელოვანი იქნებოდა ეკონომიკური კავშირების აღდგენაც, ბაზარი აერთიანებდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს. ადრე თბილისის საკოლმეურნეო ბაზრები სავსე იყო რეგიონებიდან ჩამოსული მოვაჭრეებით, ყველამ იცოდა საკომუნიკაციო ქართული. ენას სწავლობს ადამიანი იმდენად, რამდენადაც ეს მისთვის აუცილებელია. გადამყიდველები, ახლა დისტრიბუტორებს რომ ეძახიან, მაინც შუალედური რგოლია

კოვიდპანდემიის პერიოდში ქვემო ქართლში რეგულაციებს არღვევენ, რადგან იქაურებს არ ესმოდათ, რას ეუბნებოდნენ, ქართული არ იცოდნენ...

და გლეხობა ვეღარ შედის ბაზარში, ურთიერთობა შემცირდა. შარშან კოვიდპანდემია რომ დაიწყო, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში კარგა ხანს ჩაკეტეს ქვემო ქართლი, იქაურები რეგულაციებს არღვევდნენ, გამუდმებით ჩხუბი იყო დაჯარიმების გამო, მაშინდელ სიტუაციაში მთავარი პრობლემა გამოჩნდა, რომ იქაურებს არ ესმოდათ, რას ეუბნებოდნენ, რადგან ქართული არ იცოდნენ. ქართულ სატელევიზიო არხებს არ და ვერ უყურებდნენ, სხვა არხები ჰქონდათ ჩართული.

– ოკუპანტი ქვეყნის ენაზე – რუსულად უფრო კარგად მეტყველებენ ეს ადამიანები, ვიდრე ქართულად.

– რუსული მათ იმთავითვე იცოდნენ, რადგან ეს სჭირდებოდა ყველა რესპუბლიკის მოსახლეობას. ახალმა თაობამ, 30 წლის და უფრო ნაკლები ვინცაა, არც რუსული იცის, არც ქართული. კომუნიკაცია როგორ დავამყაროთ, აზერბაიჯანული ჩვენ არ ვიცით, ამიტომ სრული ვაკუუმია.

– უცხოეთში პრინციპულად უდგებიან სახელმწიფო ენის ცოდნას და, თუ ენა და კონკრეტული ქვეყნის ისტორია არ იცი, მოქალაქეობასაც ვერ მიიღებ. ჩვენც უფრო პრინციპულები ხომ არ უნდა ვიყოთ?

– დამოუკიდებლობის პერიოდის დასაწყისიდანვე, როდესაც ეროვნული ხელისუფლება მოვიდა, ჩვენს მოქალაქეებს და მათ შთამომავლებს მოქალაქეობა მიენიჭათ საცხოვრებელი ცენზის მიხედვით, ანუ, სადაც ცხოვრობდნენ, იმის მიხედვით, მოქალაქეები გახდნენ. თუმცა არსებობს მოქალაქეობის მიღების ე.წ. ნატურალიზაციის წესი, რომლის დროსაც, კანონის მიხედვით, განმცხადებელი ვალდებულია, ჩააბაროს ქართული ენა, აიღოს ენის ფლობის სერტიფიკატი და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მოქალაქეობა.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

კახა კუჭავა: ოპოზიციაში ბევრჯერ უთქვამთ, რომ ერთობა აქვთ, თუმცა, საქმით ეს ვერ დამტკიცდა

სამმა ოპოზიციურმა პარტიამ: „ევროპულმა საქართველომ“, „გირჩი – მეტი თავისუფლებამ“ და ელენე ხოშტარიას „დროამ“ თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა. კანდიდატებს მხარს უჭერს „ნაციონალური მოძრაობა“. საკაკაშვილის პარტიას დედაქალაქში მხოლოდ მერობის კანდიდატი ნიკა მელია ჰყავს, რომელიც ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდებს. „ევროპული საქართველოდან“ საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატები არიან, სამგორში – დათო ჟღენტი, ისანი – ბესო დონაძე და ჩუღურეთი – გიორგი ნონიაშვილი, „დროადან“ გლდანში თავად ელენე ხოშტარია, ვაკეში ბათუ ქუთელია იქნება კანდიდატი, კრწანისი – თამაზ ახობაძე. რაც შეეხება ზურაბ ჯაფარიძის პარტიას; დიდუბე – ნიკა მოსიაშვილი, ნაძალადევი – ბადრი გრიგალაშვილი, მთაწმინდა – თენგიზ კირთაძე და საბურთალოზე კანდიდატია ბორის ყურუა.

„მათ ბევრჯერ უთქვამთ, რომ ოპოზიციაში ერთობა აქვთ, თუმცა ვერც ერთხელ საქმით ეს ვერ დამტკიცდა. დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება. შეიძლება წინასაარჩევნოდ ცდილობენ, ერთად იყვნენ, თუმცა ეს მხოლოდ მცდელობაა, და ამის ნიშნები უკვე ჩანს“, – აცხადებს კუჭავა.

ნურსულთან ნაზარბაევის მშვიდობისა და თანხმობის ფორმულა

უკვე ორ წელიწადზე მეტი გავიდა ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის მიერ სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობიდან ნებაყოფლობითი წასვლის შემდეგ. თავისი გადადგომით ნურსულთან ნაზარბაევმა ქვეყნისთვის ყველაზე სარისკო ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მან ეს გააკეთა რბილად და პოლიტიკურ-ეკონომიკური რყევების გარეშე. ქვეყანამ არ წაიბორძიკა, შოკის გარეშე გაიარა ხელისუფლების საკონსტიტუციო ცვლა და ახალ ისტორიულ ეპოქაში შეაბიჯა. ისინი, ვინც ნაზარბაევის გადადგომის მომენტში ამბობდნენ, რომ ვითარება ყაზახეთში ნაკლებ პროგნოზირებადი გახდა, ვიდრე უწინ, აშკარად შეცდნენ.

ყაზახეთში ადგილი არ ჰქონია არანაირ გართულებებს. პირველმა პრეზიდენტმა, რომელიც თავის ხალხს ურთულეს, 90-იანი წლების პერიოდში გაუძღვა წინ, ყველაფერი სწორად გათვალა და ყაზახეთი თანდათან გადააქცია შუა აზიის აყვავებულ სახელმწიფოდ. მისმა რეფორმებმა საზოგადოების დემოკრატიზაციაში, საპრეზიდენტო უფლებამოსილებების დიდი ნაწილის პარლამენტისა და მთავრობისთვის გადაცემაში, სოციალური სამართლიანობის დამყარებაში, უზრუნველყო გარდამავალი პერიოდის სტაბილურობა. თვით „კოვიდური“ პერიოდი, რომელიც საპრეზიდენტო თანამდებობიდან ნაზარბაევის წასვლის შემდეგ სულ რაღაც ერთ წელიწადში დადგა, ქვეყანამ ნორმალურად გადაიტანა, მიუხედავად თავდაპირველი მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებისა. აღსანიშნავია, რომ ყაზახეთი იმ ქვეყანათა რიცხვში შედის, რომლებმაც საკუთარი ანტიკოვიდ-ვაქცინა გამოიგონეს (ყაზახეთის ამ მიღწევის შესახებ საქართველოში, სამწუხაროდ, თითქმის არაფერია ცნობილი).

ნურსულთან ნაზარბაევი პოლიტიკიდან მთლიანად არ წასულა, იგი რჩება უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, ფართო უფლებამოსილებებით, ასევე მმართველი პარტიის თავმჯდომარედ და აქვს ერის ლიდერის ფუნქცია.

ნაზარბაევის საპრეზიდენტო ვადის მანძილზე ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფოებრიობა, განვითარდა საბაზრო ეკონომიკა, მოხდა საზოგადოების ყველა ინსტიტუტის მოდერნიზაცია, უზრუნველყოფილ იქნა მოსახლეობის შემოსავლების 9-ჯერ ზრდა, სიღარიბის დონის 10-ჯერ შემცირება, ამოქმედდა განვითარების სტრატეგიული პროგრამები, შენარჩუნდა თანაფარდობა ყაზახეთის ურთიერთობებში ისეთ პოლარულად ურთიერთგანსხვავებული ინტერესების მქონე მოთამაშეებთან, როგორებიც არიან ჩინეთი, რუსეთი და ამერიკა, ყაზახეთის სტატუსმა საერთაშორისო არენაზე საგრძნობლად აიწია.

1990-იანი წლების ფეთქებადსაშიში მრავალეროვნული შემადგენლობის, საკავშირო დაქვემდებარების პარალიზებული ინდუსტრიის, უზარმაზარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და დაუდგენელი საზღვრების ქვეყნიდან ყაზახეთი გადაიქცა წარმატებულ, ეკონომიკურად აყვავებულ სახელმწიფოდ. ნურსულთან ნაზარბაევმა იხელმძღვანელა პრინციპით – „ჯერ ეკონომიკა, შემდეგ პოლიტიკა“. ნაზარბაევის გარდა, ვერც ერთმა მისმა კოლეგამ მეზობელ სახელმწიფოებში, ვერ გაბედა ჩაეტარებინა პრივატიზაცია და ქვეყნის კარები გაეღო დიდი კაპიტალისთვის. რა შედეგი იქნა მიღებული ამ გზით, დღეს ჩანს: ყაზახეთი დიდხანს და დამაჯერებლად უსწრებს მეზობლებს განვითარების, ეკონომიკური მიმზიდველობისა და ინვესტორთა დაცვის ნებისმიერ საერთაშორისო რეიტინგულ მონაცემებში.

დიდხანს შეიძლება გავაგრძელოთ თავისი ქვეყნის წინაშე ყაზახეთის პირველი პრეზიდენტის დამსახურებების ჩამონათვალი. მან ნამდვილად ბევრი გააკეთა ქვეყნისთვის, რეგიონისთვის და, რაოდენ პათოსურადაც არ უნდა ჟღერდეს, მთელი მსოფლიოსთვის ნაზარბაევმა გამოავლინა წესიერებისა და კეთილგონიერების უნიკალური მაგალითი. ყაზახეთმა უარი თქვა ბირთვულ იარაღზე მაშინ, როდესაც ყველა გამწარებული ცდილობდა მის მოპოვებას. ქვეყანას შეეძლო ამ არსენალზე კარგი ფული ეშოვნა, მაგრამ ამ გზით იგი თავის ბედსა და მსოფლიოს ბედს საფრთხის ქვეშ დააყენებდა. ნურსულთან ნაზარბაევი ასე არ მოიქცა. მან მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ავტორიტეტის მოპოვება იარაღის ჟღარუნის გარეშეც არის შესაძლებელი.

თავის დროზე მე დავწერე, რომ ნაზარბაევი, მოქმედებდა რა ჩინური ანდაზის პრინციპით - „რაც უფრო ნაკლები ხმაურით ივლი, მით უფრო შორს წახვალ“, ყველაზე წინ აღმოჩნდა. მართლაც, 1991 წელს, საბჭოთა კავშირის ნგრევის ფონზე, ყაზახეთი ბოლო რესპუბლიკა იყო, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ უკვე 90-იან წლებშივე გახდა აშკარა, რომ ყაზახეთი განვითარებაში გაასწრებდა არა მხოლოდ თავის შუააზიელ მეზობლებს. დღეს ვხედავთ, რომ ყაზახეთი, თავისი ეკონომიკური მაჩვენებლებითა და სტაბილური პოლიტიკური განვითარებით (ყოველგვარი რევოლუციების, შიდა კონფლიქტებისა და რეგიონული, საგარეო ომების გარეშე) იმყოფება ძალიან მაღალ, საპატიო ადგილზე, ყოფილი სსრ კავშირის ბევრ რესპუბლიკასთან შედარებით. ყაზახეთი ევროპული ტიპის აღმოსავლური ქვეყანაა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა არ ითმენს პროცესების ზედმეტ დაჩქარებას, ყველაფერი ზომიერად და თანდათანობით უნდა ხდებოდეს. გავლენიანი ყაზახეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს არა მხოლოდ თავის შინაგან სტაბილობას, არამედ სხვა ქვეყნებსაც ეხმარება, მონახონ კომპრომისები და მშვიდობიანი გადაწყვეტის გზები, საკამათო საკითხების მოგვარებისას – ამ თემაზეც არაერთი სტატია მაქვს გამოქვეყნებული. მსოფლიო კრიზისი, რომელიც პანდემიამ გამოიწვია, ოდესმე დასრულდება და ყაზახური დიპლომატიის ეს შემადგენელი აუცილებლად კვლავ გახდება აქტუალური.

ნაზარბაევის მრავალ მიღწევათაგან ამ ჯერზე შემდეგი პროექტები მახსენდება:

ყაზახეთის ხალხის ასამბლეა – ეროვნებათშორისი მშვიდობისა და დიალოგის ერთგვარი ფორუმი, რომლის თავმჯდომარედაც რესპუბლიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი, საპატიო თავმჯდომარედ კი პირველი პრეზიდენტი გვევლინებიან; ასამბლეის მთავარი ამოცანაა ეროვნებათშორისი პოლიტიკის გატარება, სტაბილურობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების ურთიერთქმედების გაუმჯობესება, ეთნოსებს შორის მშვიდობისა და თანხმობის უზრუნველსაყოფად;

მსოფლიო რელიგიების ლიდერთა ყრილობა – ტარდება 2003 წლიდან და არის წარმატებული, უნიკალური პლატფორმა მსოფლიო რელიგიათა შორის სტრატეგიული დიალოგისათვის. 2022 წელს იგეგმება მე-7 ყრილობის ჩატარება.

სემიპალატინსკის საცდელი პოლიგონის დახურვა – მოვლენა, რომელსაც ადგილი 30 წლის წინ ჰქონდა, პრინციპული მნიშვნელობის იყო ყაზახეთის ეკოლოგიური მთლიანობის, მისი ბუნებისა და, რაც მთავარია, მოსახლეობის დაცულობისთვის;

პროექტები **ATOM** და **ლიდერთა გლობალური ალიანსი არაბირთვული იარაღისთვის** – ნაზარბაევმა ბევრი მსოფლიო ლიდერისგან განსხვავებით, სემიპალატინსკის პოლიგონის მაგალითზე, არა ყურმოკვრით იცის, თუ რა სავალალო შედეგები მოაქვს ბირთვული იარაღის გამოცდებს (არა თუ გამოყენებას), ამიტომ ყაზახეთი არა მხოლოდ ლაპარაკობს ბირთვული იარაღისგან თავისუფალ პლანეტაზე, არამედ მოქმედებს კიდეც ამ მიმართულებით.

> მიმდინარე წლის ივლისში, უფრო ზუსტად – 6 ივლისს, ნურსულთან ნაზარბაევს 81 წელი შეუსრულდა, ხოლო მის პირმშოს – ყაზახეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკას დეკემბერში 30 წელი უსრულდება. ნაზარბაევი ისტორიაში შევა, როგორც თანამედროვე ნაციის შემქმნელი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რომლის მიღწევები ყაზახეთისა და მთელი უზარმაზარი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის ისეთივეა, როგორც დენ სიაოპინისა ჩინეთში, ან ერდოღანისა – თურქეთში... მიუხედავად ამისა, როგორც ეს დიდ პოლიტიკოსს შეშვენის, ნაზარბაევი პიროვნულად საკმაოდ მოკრძალებულია, ყოველთვის ახლოსაა ხალხთან და თავისი ხალხის პრობლემებით ცხოვრობს.

გულბაათ რცხილაძე

ბესიკ ალადაშვილი: ოპოზიციური პარტია თუ გადაკვეთს წითელ ხაზს, ის ტერორისტული ორგანიზაცია შეიძლება გახდეს!

(მეოთხე გვერდიდან)

2004 წელს, მართლაც, საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სჯეროდა, რომ ეს ახალგაზრდა ხალხი, რომლებიც გამოუცდელნი იყვნენ, მაგრამ პატრიოტები, შეცდომებზე ისწავლიანო, თუმცა მალევე ვნახეთ 2007 წელს რაც მოხდა – ქვეყანა ორად გაიხლიჩა და იგივე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაიკარგა ქვეყნის გაერთიანების ნიშანი. ყველა პოლიტიკური პარტია ცდილობს, გამოიყენოს ხელისუფლების შეცდომა, მაგრამ თუ ის სცილდება კონსტიტუციური და დემოკრატიული მოთხოვნების ჩარჩოებს, იწყებს საბურავების დაწვას, როგორც ეს შევარდნაძის დროს კეთდებოდა იმ მოტივით, რომ არეულობა შემოეტანათ და რეჟიმი დაესუსტებინათ.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მოქმედება თუ სცილდება კანონის მოთხოვნებს, მაშინ აქ უკვე სახელმწიფო სტრუქტურების ვალდებულებაა, რომ დაიცვან კანონი და ჩვენ მმართველ ძალას ესეც უნდა მოვთხოვოთ. ოპოზიციური პარტია თუ გადაკვეთს წითელ ხაზს, ეს ტერორისტული ორგანიზაცია შეიძლება გახდეს.

– როგორ ფიქრობთ, „ნაციონალური მოძრაობა“ გათამამებულია გამოძიების მიერ?

– ყველას სჭირდება გარეშე მტრის ხატი, რომელსაც შენ გამოიყენებ იგივე შენი ამომრჩევლისთვის. „ქართულმა ოცნებამ“ პიჯაკებზე აღუძრა სისხლის სამართლის საქმე საკაშვილს და მეტი დანაშაული ვითომ ვერ იპოვა. იგივე აგვისტოს იმის თემა ავიღოთ, გასაგებია და 4-5 წელი ყველამ იცოდა, რომ რუსეთი ამზადებდა ამ პროვოკაციას, მაგრამ ხაფანგში ასე პირდაპირ შესვლა და შემდეგ რა მოვლენებიც განვითარდა, ეს უკვე არის სახელმწიფო დანაშაული. მაშინ მთავარსარდლიდან დაწყებული, სამხედრო და სამოქალაქოთი დამთავრებული, პასუხი უნდა ეგოთ, არა მოგონილი, არამედ რეალური დანაშაულის გამო, მაგრამ ეს ორი ფაქტორის გამო არ მოხდა. ერთი – დასავალეთის ფაქტორი ე.წ. კოჰაბიტაცია და მეორე – თვითონაც აწყობდათ, რომ ჰყოლოდათ ეს გამურული „მტერი“.

– რადიკალურად განსხვავებულია კვლევის შედეგები, მაგრამ ყველა კვლევა ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური პარტიის სტატუსს ინარჩუნებს. ეს რაზე მიუთითებს?

– რეალური ლაკმუსი იქნება არჩევნები, რომელიც დაგვანახებს პოლიტიკური პარტიების ძალთა თანაფარდობას. დანარჩენი ყველაფერი კეთდება ამომრჩევლის დასარწმუნებლად, რომ ესა თუ ის ძალა ძლიერია. დაახლოებით 15-20% მყარი ელექტორატი ჰყავს „ქართულ ოცნებას“, 10-12% „ნაციონალურ მოძრაობას“, წვრილ-წვრილი პარტიები ერთად შეიძლება 20%-მდე ავიდნენ. ამომრჩევლის 50%-მა კონკრეტული გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს არჩევნების წინა დღეს.

სამწუხაროდ, კვლავ ოქტომბრის ქაოსისკენ მივექანებით. კვლავ განმეორდება ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ მიიღებს არჩევნების შედეგებს, დაიწყება ისევ ქუჩის პროცესები და კარვების გაშლა, რაც უკვე სირცხვილია, რომელი საუკუნეა?! ყველა ცივილიზებულ სამყაროში პოლიტიკური ბრძოლის ეს ფორმა დავიწყებულია, გარდა ბანანის რესპუბლიკებისა. სამწუხაროდ, მივექანებით პოლიტიკური ქაოსისკენ.

ეს პოლიტიკური ქაოსი, დაძაბულობა, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რომელიც მუდმივად გვაქვს, აწყობს ჩვენს მტერს. მე არ მახსოვს საქართველოში ორივე პოლიტიკურ ძალას დაეთმოს ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ – რატომ? – იმიტომ, რომ ჩვენი მტერი, მოწინააღმდეგე ყველაფერს აკეთებს, რომ ეს არ მოხდეს. იგივე შარლ მიშელის საოცარი, პერსონალური თავდადება, წინ და უკან იარა ამ კაცმა, რომ შეერიგებინა ოპოზიციური სპექტრი და ხელისუფლება. რომ არა მიშელი, დღესაც ის ქაოსი იქნებოდა.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

იაგო ფრანგიშვილი:

ქართველებს ერთმანეთის მოსმენა გვიჭირს!

„ადამიანები სიმღერით შედიან ინტენსიურში და ცხედრები გამოჰყავთ, აქ ხომ აშკარაა არასწორი მართვა“, – ამის შესახებ შინაგანი მედიცინისა და ზოგადი მედიცინის დახელოვნების ექიმი იაგო ფრანგიშვილი აცხადებს. რატომ იზრდება საქართველოში სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველდღიურად? როგორ მკურნალობენ მძიმე პაციენტებს და უშვებენ თუ არა ექიმები შეცდომებს – ამ საკითხებზე იაგო ფრანგიშვილი რადიო თავისუფლებასთან საუბრობს.

„კორონავირუსი თითქმის ორი წელია არსებობს, მაგრამ საფუძვლიანი გაიდლაინის მომზადებისთვის ეს დრო საკმარისი არ არის. გაიდლაინში წლების განმავლობაში დაგროვებული ინფორმაცია შედის, ასეთი ინფორმაცია კოვიდ 19-ზე არ არსებობს. ამიტომაც, სახელმძღვანელოში ის ინფორმაციაა შესული, რომელმაც რაღაც მომენტში პაციენტს არ ავნო. გაიდლაინში შესული ინფორმაცია არ ნიშნავს, რომ პაციენტს ყველა იმ საშუალებით უმკურნალო, რომელიც ინსტრუქციაში წერია, ეს არასწორია. გაიდლაინი ექიმს მიმართულებას აძლევს, ხოლო ექიმმა ადამიანს ინდივიდუალურად უნდა უმკურნალო. ეს საქართველოში არ ხდება“, – ამბობს იაგო ფრანგიშვილი.

შინაგანი მედიცინისა და ზოგადი მედიცინის დახელოვნების ექიმი ამბობს, რომ საქართველოში მას შემდეგ, რაც პაციენტს კორონავირუსი დაუდასტურდება, აღარ გრძელდება დიაგნოსტიკა. მისი თქმით, მხოლოდ დადებითი ტესტი კორონავირუსზე არ ნიშნავს, რომ კონკრეტული პრობლემა მხოლოდ კორონავირუსია. ექიმის განმარტებით, ვირუსი ისე ასუსტებს იმუნურ სისტემას, რომ სხვა მიკროორგანიზმი, არც თუ იშვიათად, გაცილებით მეტ პრობლემას ქმნის.

„ამ ვირუსს აქვს ერთი ისეთი თვისება, რომელიც შეიძლება ექიმმა გამოიყენოს – დაახლოებით 20%-ში ვირუსი ფილტვის დაზიანებას გვაძლევს, რომელსაც ძნელად მკურნალობ ან არ იცი როგორ უმკურნალო, მაგრამ დანარჩენ 80%-ში ვირუსი იმ დაავადებების გამშვებ მექანიზმად ითვლება, რომელთაც ვიცნობთ. მაგალითად, იშემიური დაავადების, ინსულტის, ფილტვის ბაქტერიული ანთების, იმუნური სისტემის დაქვეითების. ამიტომ ექიმმა უნდა შეხედოს, სად ვართ, საქართველოში საერთოდ არ ამოწმებენ იმუნური დარღვევის ფონზე ბაქტერიულმა ინფექციამ ხომ არ იფეთქა. საქართველოში ბაქტერიოლოგიურ კვლევას არ აკეთებენ. დაადგენენ კორონავირუსს და მორჩა. პირველი ნაბიჯია სტეროიდი, შემდეგ ანტიბიოტიკი, ჟანგბადი, გადასხმები. შემდეგ მოსთხოვენ ანტისხეულების საწინააღმდეგო მკურნალობას.

საქართველოში მყოფი ხანდაზმული პაციენტი მყავდა, რამდენჯერმე გამომიგზავნეს ფილტვის სურათი, საერთოდ გათეთრებული ფილტვია და მათი თქმით, ამის მიზეზი კოვიდია. არავითარი კოვიდი, ეს იყო გადასხმების შედეგად დაგროვილი რამდენიმე ლიტრი სისხლი ორგანიზმში, რომელიც შარდმდენმა გამოიტანა და ეს ქალი ახლა კარგადაა და სახლშია“, – ჰყვება ექიმი.

იაგო ფრანგიშვილი აცხადებს, რომ გაცემულია რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც უმჯობესია ინფიცირებული ადამიანის მკურნალობა სახლში მოხდეს, რა დროსაც უნდა იყოს სუფთა ჰაერი, ჩაიტაროს სუნთქვითი ვარჯიში და მიიღოს სითხე. მისი თქმით, გერმანელი ვირუსოლოგის ფედერიკ შტრეკის კვლევამ დაამტკიცა, რომ პაციენტების სიახლოვე და ურთიერთობა მდგომარეობას ამძიმებს. რამდენიმე კოვიდინფიცირებული თუ ერთადაა, ყველა მძიმდება, რადგან ადამიანები შტამებს ცვლიან. ექიმი ამბობს იმასაც, რომ სიცხის დამწევის მიღება არა ნემსით და გადასხმით, არამედ ორალურად უნდა მოხდეს. მისი განმარტებით, ადამიანი, რომელსაც ტაბლეტის გადაყლაპვა შეუძლია, მას გადასხმა არ სჭირდება. შინაგანი მედიცინისა და ზოგადი მედიცინის დახელოვნების ექიმი ჰყვება, რომ კორონავირუსის ელიმინაცია ნაწლავიდან ხდება, რაც ცნობილი და დამტკიცებული ფაქტია, სწორედ ამიტომ, რაც უფრო ბევრ სითხეს მიიღებს ადამიანი, უფრო მეტ ვირუსს გამოყოფს და ნაკლები ვირუსი იქნება აქტიური ორგანიზმის დაზიანების საქმეში. კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ექიმი ყურადღებას ამახვილებს, პაციენტების მართვით სუნთქვაზე გადაყვანაა, რისი სტატისიკაც, მისი თქმით, ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა:

რატომ გაიზარდა COVID-სიკვდილიანობა საქართველოში და რა შეცდომებს უშვებენ ექიმები?!

„დასავლეთში მართვით სუნთქვაზე ადამიანების გადაყვანა 80%-ით შემცირდა, საქართველოში კი 80 %-ით გაიზარდა. საქართველოში პაციენტებს არწმუნებენ, რომ აუცილებელია მართვითი სუნთქვა. ე.ი. ადამიანს აქვს იმის უნარი, რომ დისკუსიაში შემოვიდეს. აი ასეთ პაციენტს ეუბნები, რომ მართვითი სუნთქვა აუცილებელია. ეს არასწორია! ეს მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ბაქტერიული ფილტვების ორმხრივი ანთება და ორგანიზმი დაზიანებულია, ამიტომაა აუცილებელი პაციენტის ფილტვის დასვენება. კოვიდის დროს ინტუბაციით და მართვითი სუნთქვით ფილტვი არ ისვენებს. პირიქით, ეს ლორწოვანი ფილტვის ქსოვილში იტუმბება. მართვითი სუნთქვა სხვა არაფერია, ჰაერს ფილტვში წნევით ტუმბავ. კოვიდი ლორწოვანის ინფექციაა, მას საერთოდ არ აინტერესებს ორგანიზმი, მას უნდა სინესტე, სითბო და ეს არის ფილტვში. ამას რომ ჩატუმბავ რაც შეიძლება ქვევით, შემდეგ ადამიანი ვეღარ ამოახველებს და დამძიმდება“, – განაცხადა იაგო ფრანგიშვილმა.

კიდევ ერთი შეცდომა, რომელზეც ექიმი საუბრობს, სტეროიდების გამოყენებას ეხება. მისი თქმით, პაციენტს სტეროიდებს მხოლოდ იმიტომ აძლევენ, რომ ტესტი დადებითი იყო, დამატებითი კვლევა ადამიანებს აღარ უტარდებათ:

„სტეროიდებს, რა თქმა უნდა, იყენებენ, მაგრამ გააჩნია როდის გამოიყენებ და რა დოზას. სტეროიდებს გამოყენებამდე აუცილებლად უნდა დადგინდეს, აქვთ თუ არა ადამიანს იმუნური აქტივობა, რადგან სტეროიდი იმუნურ აქტივობას ამცირებს. ორგანიზმი კორონავირუისის დროს ანტიალერგიულად რეაგირებს, ე.ი. ძალიან მაღალი ალერგოგენული რეაქცია აქვს და ამიტომ ვაძლევთ სტეროიდს. მაგრამ, ესეც შეიძლება დადგინდეს სისხლში, მაგალითად ეოზონოფილები არის ალერგიული მაჩვენებელი სისხლში, მე მინახავს ქართველი პაციენტები, რომელთაც ნული ჰქონდათ ეოზონოფილი და სტეროიდებს უკეთებდნენ. რატომ უკეთებენ სტეროიდს, ჩემთვის გაუგებარია. სტეროიდს უკეთებენ, როდესაც სპასტიური ბრონქიტია კორონავირუსის დროს, სხვა შემთხვევაში პაციენტს სტეროიდს არ აძლევენ. სიცხე არაა სტეროიდისთვის მნიშვნელოვანი, სიცხის დროს უნდა მისცე პარაცეტამოლი ან სხვა სიცხის დამწევი“, – თქვა ექიმმა.

იაგო ფრანგიშვილი კორონავირუსით დაავადებული პაციენტების მკურნალობის დროს ინდივიდუალური მიდგომის მომხრეა და არა გაიდლაინით გაწერილი რეკომენდაციების. მისი თქმით, სქემა ძალიან მარტივია – გაესაუბრო ავადმყოფს, დააკვირდე და განსაზღვრო, რა სჭირდება მას.

„ადრე ბავარიაში ვმუშაობდი და დაახლოებით 200-ზე მეტი კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტი მყავდა. მათ შორის ასაკოვანი რუსები, რომლებიც თავიანთ თავს ძველ ქრისტიანებს უწოდებდნენ, ყველანაირ მედიცინას რომ უარყოფენ. რაღაცაში დავარწმუნე, რაღაცაში ვერა... პაციენტი როდესაც ბევრს ლაპარაკობს, ის გამოსულია მდგომარეობიდან, მას პრობლემა აღარ აქვს. ამ დროს მნიშვნელოვანია სუნთქვითი ვარჯიშები, ჩემს თანამშრომელს ვთხოვდი, რომ დაერეკა და მათთან 10 წუთი ესაუბრა. საუბარი არის ვარჯიში, პაციენტს როდესაც მოუსმენ, ყველაფერი იცი რა ხდება, შიში გიქრება და არ ხარ ჩაკეტილი გაიდლაინების აზროვნებაში. იცი, რომ ამ კონკრეტულ პაციენტს არაფერი მოუვა. ეს არის უმთავრესი მედიცინაში და საერთოდ ადამიანობაში. ზოგადად, ქართველებს ერთმანეთის მოსმენა გვიჭირს“, – განაცხადა იაგო ფრანგიშვილმა.

კომერსანტი

ექიმები 500 ლარის ოდენობით დანამატს მიიღებენ

„საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სასწრაფო დახმარების ექიმები, რომლებიც განსაკუთრებით რთულ პირობებში მუშაობენ, განურჩევლად იმისა, თუ რომელ რეგიონში არიან ისინი დასაქმებულები, სახელმწიფოს მხრიდან დამატებით 500 ლარს მიიღებენ“, – აღნიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ.

„მინდა აღვნიშნო შემდეგი ფაქტი, რომ არაერთი პოლიტიკური პარტიის მხრიდან არის მცდელობა იმისა, რომ მოხდეს სამთავრობო გუნდისა და ექიმების დაპირისპირება, შეეხება ეს ანაზღაურებას, თუ მადლობის გადახდას ექიმების მიმართ. მინდა ვთხოვო ყველას, რომ დღესდღეობით არ არის მსგავსი დაპირისპირებების დრო. სახელმწიფოს მხრიდან ექიმების ყველა ინტერესი არის დაცული. თითქმის 1 წელია, რაც ექიმებს ერიცხებათ დანამატები, აღნიშნული სახლმწიფოს მხრიდან არის დეტალურად გაწერილი და სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება საკმაოდ მაღალია“, – განაცხადა ტიკარაძემ.

ჯანდაცვის მინისტრმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ექიმებს, მძიმე ვითარებაში მათ მიერ გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ყოველთვის იდგება მათ გვერდით.

როდის განახლდება სწავლა

„რაც შეეხება სწავლის განახლების პროცესს, არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ ეპიდემიის გავრცელებას. დაახლოებით ორ კვირაში ველოდებით გარკვეულ შედეგებს. ამ შედეგებიდან გამომდინარე უკვე დაავადებათა კონტროლის ცენტრი და ჯანდაცვის სამინისტრო საბჭოს წარუდგენს იმ არსებულ რისკებს და შედეგებს, რომლებიც დადგება. ამის შემდეგ საბჭო ერთობლივად იმსჯელებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიდგომები იქნება სწავლის განახლებასთან დაკავშირებით“, – განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

სამხედრო ექიმები მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესში ჩაერთვნენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანების შესაბამისად, ვაქცინაციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, თავდაცვის უწყების მიერ შექმნილი მობილური სამხედრო-სამედიცინო ჯგუფები მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესში უკვე ჩაერთვნენ. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამხედრო ექიმებით დაკომპლექტებული ჯგუფები შიდა ქართლის სოფლებში რამდენიმე ლოკაციაზე უზრუნველყოფდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ვაქცინაციას. აცრამდე მათ მოქალაქეებს ვაქცინაციის პროცესის შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდეს და პირადად გაესაუბრნენ. მათივე ცნობით, მოსახლეობის მაღალი აქტივობა აღინიშნებოდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომში. **„თავდაცვის უწყების მიერ შექმნილი მობილური სამხედრო-სამედიცინო ჯგუფები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით უზრუნველყოფენ ვაქცინაციის პროცესის ხელმისაწვდომობას იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც არსებული ვაქცინაციის ლოკაციებით სარგებლობას ვერ ახერხებენ“,** – აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

საქართველოში კორონავირუსით 7 თვის ორსული გარდაიცვალა

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, „ექიმებმა მაქსიმუმი გააკეთეს“. **„რა თქმა უნდა, გართულების მიზეზი არის სხვადასხვა. აქ არ არის ექიმების ან კლინიკის კვალიფიკაციაზე საუბარი. როგორც წესი, დაავადება მიმდინარეობს არაერთგვაროვნად და ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ვაკვირდებით, რომ ყველა პაციენტის გადარჩენა ვერ ხერხდება. ყველა პაციენტის სიცოცხლის გადარჩენაში ყველა ექიმი მაქსიმალურადაა ჩართული. დარწმუნებული ვარ, ექიმებმა გააკეთეს მაქსიმუმი, თუმცა შედეგი არ დადგა“,** – ამბობს ტიკარაძე. 18 აგვისტოს მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსის 5 914 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, 49 პაციენტი გარდაიცვალა.

„მოსკოვი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმებას საერთაშორისო სამართლებრივ აქტად „არასოდეს თვლიდა და არც ახლა თვლის“, – ასე უპასუხა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კონსტანტინ ზატულინმა ტელეკომპანია „Дождь“-თან ინტერვიუში კითხვას, რომელიც რუსული მხარის მიერ ხსენებული დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების დღემდე შეუსრულებლობის მიზეზებს ეხებოდა.

ზატულინის პასუხებში კარგად ჩანს ყველა ის შეუსაბამობა, ალოგიკურობა, მანიპულაცია და სპეკულაცია, რომელსაც 2008 წლის ომთან, სოხუმსა და ცხინვალთან მიმართებაში მოსკოვის პოზიცია შეიცავს.

„აქცენტი“ ამ ინტერვიუდან თბილისისთვის აქტუალური ამონარიდების თარგმანს გთავაზობთ:



კონსტანტინ ზატულინი:

2008 წლის აგვისტოში დაქინებით გვთხოვდნენ სააკაშვილის საძულველი რეჟიმის დამხობას!..

მოსკოვი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმებას საერთაშორისო სამართლებრივ აქტად არ თვლის...

– 2008 წლის ომის მე-13 წლისთავისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს რიგმა წევრებმა გაავრცელეს მოსკოვისადმი მიმართვა მოწოდებით, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, გაიყვანოს ჯარები აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, ასევე გაიწიოს გადაწყვეტილება მათი აღიარების თაობაზე. როგორ უპასუხებდით მათ მოწოდებას?

– ეს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, მაგრამ მხოლოდ „მორიგი“ განცხადებაა, რადგან ყველასთვის, მათ შორის, დარწმუნებული ვარ, ხელმომწერთათვისაც კი ნათელია, რომ არც ერთი სახელმწიფო, რომელიც თავს პატივს სცემს, არ დაიწყებს აღიარების გადაწყვეტილებების უკან გაწვევას სხვა ქვეყნების კარნახით, სხვების ულტიმატუმის საფუძველზე, ან რაც გენებოთ, ის დაარქვით ამას. მით უფრო არ მოხდება ეს იმ სახელმწიფოების კარნახით, რომელთაც არ ეუხერხულებათ, პერიოდულად ღიად გამოხატავდნენ რუსეთის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას ხან ერთ, ხან მეორე საკითხში.

– ვერც ერთხელ ვერ მივიღე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მკაფიო პასუხი კითხვაზე, რატომ არის დღემდე შეუსრულებელი მედვედევი-სარკოზის შეთანხმების პუნქტი ჯარების ომამდელ პოზიციებზე დაბრუნების შესახებ...

– მინდა, მივაპყრო თქვენი ყურადღება იმას, რომ არსებობს შედეგები. არსებობს შუალედური ფაქტები, დაკავშირებული იმასთან, როგორ ხდება ეს კონფლიქტი, რით დაიწყო იგი, რა მომენტიდან ჩაერთო რუსული ჯარი მოვლენებში. ის ხომ მაშინვე არ ჩართულა – მინიმუმ, მეორე დღეს ჩაერთო ცხინვალში ჩვენს სამშვიდობოებზე თავდასხმისა და ქართული ჯარის მიერ ცხინვალის დაკავების შემდეგ. აი, ამის შემდეგ იყო მთელი რიგი აქტები. ხოლო ის, რომ შუალედური შეთანხმების „ამოძრობას“ ცდილობთ და რატომღაც მაინცდამაინც მისით ინტერესდებით, მაგრამ არ ინტერესდებით შედეგებით...

– მაგრამ ეს ხომ სწორედ ის შეთანხმებაა, რომლითაც დასრულდა ყველაფერი...

– ამ ისტორიის დასრულება იმაში მდგომარეობდა, რომ აქტიური საბრძოლო მოქმედებების შედეგისთვის რუსული ჯარი რეალურად, საქართველოს დედაქალაქის მისადგომებთან იდგა, მაგრამ უარი თქვა, გზა გაეგრძელებინა, შეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები და შემდეგ გავიდა ტერიტორიაზე, რომელიც სადღეისოდ ოფიციალურადაა აღიარებული სამხრეთ ოსურად და აფხაზურად. ჩვენ არ დავრჩენილვართ არც ფოთში, არც თბილისის მისადგომებთან... ასე, რომ როცა ამბობთ, „ჯარები არ გაგიყვანიათო“, რეალურად, ჩვენ ისინი გავიყვანეთ.

ამასთან, მინდა, თვალი აგიხილოთ და გაცნობოთ: ზოგიერთები საქართველოში – მაშინდელი ოპოზიციონერები ძალიან აღტყინებულები იყვნენ და დაჟინებით გვთხოვდნენ, გზა გაგვეგრძელებინა და დაგვემხო სააკაშვილის საძულველი რეჟიმი, თუმცა ჩვენ შიდა საქმეებში არ ჩავერიეთ.

– მაინც ვინ გთხოვდათ ამას?

– ისინი, ვინც იმხანად სააკაშვილის ოპოზიციას წარმოადგენდნენ. ახლა გვარების დასახელება არ მსურს და არც დაკითხვაზე ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ნამდვილად ხდებოდა.

საკითხს დავუბრუნდები და ვამბობ, რომ ჩვენ ჯარები გავიყვანეთ. ისინი რომ იქ დარჩენილიყვნენ, სადამდეც მივიდნენ, რუსული დროშა დღეს იფრიალებდა როგორც ფოთის, ისე საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კიდევ ბევრი სხვა ქალაქის თავზეც.

– და ნანობთ, რომ მაშინ თბილისი არ დაიკავეთ?

– არა, ვთვლი, რომ ჩვენ შევასრულეთ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაცვის, საფრთხის განეიტრალების მისია...

– და იგივე ფოთში რომელ მოსახლეობას იცავდით და ვისგან?

– ფოთში ჩვენ ვახდენდით ქართული ძალების მხრიდან კონტრშეტევის შესაძლებლობის ლიკვიდაციას – აი ამას ვაკეთებდით საბრძოლო მოქმედებების დროს. თქვენ რა, ფიქრობთ, ომის დროს, როცა საბრძოლო მოქმედებები მიდის, ვინმე ზის და არჩევს, აქ ფოთია, აქ – არაო? იმ მომენტში ფოთში იყო სამხედრო-საზღვაო ძალები და საჭირო იყო იმ საფრთხის ლიკვიდაცია, რომლის დეტონაციაც შეიძლებოდა, მომხდარიყო, ბატონი სააკაშვილის ემოციურობის გათვალისწინებით – იმ სააკაშვილის, რომელმაც ჩვენს სამშვიდობოებზე თავდასხმისგან თავი ვერ შეიკავა.

– მოდით, მაინც დავაზუსტოთ, რომ მედვედევი-სარკოზის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც საბრძოლო მოქმედებების აქტიური ფაზა შეწყდა, ამ დრომდე...

– მოდით, ჯერ იმაზე შევთანხმდეთ, რომ სიტყვა „შეთანხმება“ რუსულ კანონმდებლობაში ნიშნავს საერთაშორისო აქტს, ხელმოწერილს ამ შემთხვევაში ლეგიტიმური, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ, რომელმაც, ამასთანავე, სახელმწიფო სათათბიროში რატიფიცირება გაიარა. ახლა კი მინდა, გაცნობოთ, რომ ის „შეთანხმება“, რომელზეც მიმითითებთ, არასოდეს ითვლებოდა შეთანხმებად – ეს იყო მხარეთა შუალედური მოლაპარაკება.

– მაგრამ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ხელმოწერა მასზე ნამდვილად არის...

– დიახ, არის, მაგრამ იგი არ მოითხოვდა რატიფიცირებას, რადგან არ განეკუთვნება საერთშორისო სამართლებრივ აქტებს.

– პრეზიდენტის ხელმოწერის მიუხედავად?

– ეს იყო მხარეთა მიერ იმხანად მიმდინარე მოვლენებთან, კერძოდ, საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით მიღწეული შუალედური მოლაპარაკება – სხვა არაფერი. და ის არსობრივად, შესრულებულია იმით, რომ ჩვენი ჯარები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან გავიდნენ.

– დოკუმენტში მკაფიოდ წერია „ომამდელ პოზიციებზეო“, ანუ იმ პოზიციებზე, რომლებიც რუსულ ჯარს 7 აგვისტომდე ჰქონდა...

– და რა პრეტენზიები გაქვთ ამასთან? აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მანამდეც იყვნენ რუსი სამხედროები, მაგალითად, სამშვიდობოების სახით...

– და „დამატებითები“ გაჩნდნენ, არა?

– ყველაფერი, რაც ამჟამად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩვენი სამხედროების ყოფნას ეხება, ეს ჩვენსა და ჩვენს მიერ აღიარებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის შეთანხმებების შედეგია. იმედია, არ თვლით, რომ ეს ორმხრივი შეთანხმებები საფრანგეთის პრეზიდენტის ან კიდევ ვინმეს თანხმობით უნდა აღვასრულოთ! ჩვენ ორმხრივი შეთანხმებები გვაქვს, რომელთანაც არც ბატონ სარკოზის ესაქმება რამე, არც საფრანგეთის ამჟამინდელ პრეზიდენტს – ეს ყველაფერი უკვე წარსულშია.

– მაინც ვერ მიგიხვდით: ამბობთ, რომ შეასრულეთ შეთანხმება იმით, რომ გაიყვანეთ ჯარები თბილისის მისადგომებიდან და ფოთიდან, თუ ამბობთ, რომ არ ასრულებთ მას, რადგან მოქმედებთ სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლებთან მას შემდეგ გაფორმებული ახალი შეთანხმებების საფუძველზე?

– ჩვენ შევწყვიტეთ საბრძოლო მოქმედებები და სწორედ ეს წარმოადგენდა სარკოზისთან შეთანხმების არსს. ისიც მინდა, გითხრათ, რომ ეს, სხვათა შორის, სარკოზის მოთხოვნით არ მომხდარა – თავად ჩვენ, როგორც ვიცი, არც ვაპირებდით არც საქართველოს რუსეთთან მიერთებას, არც თუნდაც თბილისის შტურმს. მაგრამ იმისათვის, რომ ამ შემთხვევაში ამის დემონსტრირება მომხდარიყო, დიახ, ჩვენ შევჩერდით იმ ზღურბლზე, რომელზეც შესაძლებლად ჩავთვალეთ – საფრთხე ავაცილეთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, მერე კი დავბრუნდით ტერიტორიაზე.

ამის შემდეგ ბევრი რამ მოხდა, რამდენიმე წელი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში გავაფორმეთ შეთანხმებები აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან ჩვენი ბაზების, ჩვენი სამხედროების შესახებ. რატომ გავაფორმეთ? – იმიტომ, რომ ქართულ მხარეს არ გაუფორმებია სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან არანაირი სამშვიდობო შეთანხმება, ის მათ არ აღიარებს. ცხადია, ამ პირობებში ხალხს იქ შიში აქვს, არ სურს, იცხოვროს 2008 წლის მსგავსი სამხედრო თავდასხმის რისკქვეშ.

– დღემდე არ არსებობს თანხმობა იმაზე, მაინც რა იქცა 2008 წლის ომის მიზეზად...

– იცით, ექსპერტებს, როგორც წესი, სრული თანხმობა არც ერთ საკითხში არ აქვთ, მით უფრო, თუ ისინი ერთმანეთთან კონკურენციაში არიან, – ეს ნორმალურია. მაგრამ არსებობს ჰაიდი ტალიავინის დასკვნა, მასში ნათქვამია, ვინ ვის დაესხა თავს და ეს დასკვნა ოფიციალური დოკუმენტია.

– მასში ისიცაა ნათქვამი, რომ რუსეთს მთელი რიგი მოქმედებები ჰქონდა ჩატარებული, რომ იყო პროვოკაციები...

– ვიმეორებ, მასში ნათქვამია, ვინ ვის დაესხა თავს, ამ საკითხში სწორედაც რომ სრული თანხმობაა და თავდამსხმელი საქართველოა.

– მაგრამ რუსეთიც ითვლება პასუხისმგებლად, რადგან მან მოახდინა პროვოცირება...

– ის დაესხა ვინმეს თავს?

– მან მოახდინა პროვოცირება...

– ანუ, ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაცია იქ საკუთარ მოვალეობას ასრულებდა, საქართველოსთან მიმართებაშია პროვოკაციაა?

– მაპატიეთ და, საქართველო იყო და არის სუვერენული სახელმწიფო და თქვენც კი – რუსეთიც იმ მომენტისთვის სამხრეთ ოსეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებდით. თქვენ შეიჭერით საქართველოში და არა საქართველო რუსეთში, ასე არ არის?

– კიდევ ვიმეორებ: სამშვიდობოებს თავს დაესხნენ, ჩვენი სამშვიდობოები დაიღუპნენ ცხინვალში....

– მაგრამ მანამდე იყო შეიარაღებული ინციდენტები, რომელთა შედეგადაც ასევე იღუპებოდნენ ადამიანები, ხალხი მანამდეც იხოცებოდა!

– რა მნიშვნელობა აქვს, მანამდე რა იყო? მანიპულირებას ცდილობთ და უხერხულიც კია იმ ფონზე, რომ ცხინვალში ადამიანები დაიღუპნენ...

– უბრალოდ იმ დროს თავადაც ვიმყოფებოდი თბილისში და ძალიან კარგად მახსოვს, რომ ადამიანები 7 აგვისტომდეც იღუპებოდნენ..

– ცხინვალში თავდასხმის შედეგად ადამიანები დაიღუპნენ, სამშვიდობოები დაიხოცნენ, რომლებიც იქ, სხვათა შორის, საქართველოს მიწვევით იმყოფებოდნენ, ორი მხარის მიწვევით. ესაა თავდასხმა სამშვიდობოებზე. და რის გამოგონებას ცდილობენ ახლა, როცა ეს უკვე ყველას მიერ ითქვა და ყველას მიერაა დადასტურებული?! თქვენ კი ცდილობთ, ყველაფერი აურდაურიოთ და გაიძახით, ექსპერტები არ ეთანხმებიან, ექსპერტები დავობენო...

– რატომ? ტალიავინის მოხსენება ხომ გაქვთ წაკითხული...

– იცით, თუ ექსპერტად თავად პრეზიდენტი სააკაშვილი გვევლინება, მაშინ ცხადია, სიმართლეს ვერ დავადგენთ. თუმცა მანაც კი უკვე მოასწრო იმის აღიარება, რომ დიახ, მართლაც აქვს გაცემული ასეთი მითითებები.

– მაგრამ ქართული მხარის მოქმედებაზე არაპროპორციული რეაქცია – ეს ციტატაა ტალიავინის მოხსენებიდან...

– ეს ტალიავინის აზრია.

– ისევე, როგორც ის, რომ ომი საქართველომ დაიწყო.

– დიახ, დაიწყო.

– ანუ ორივე ტალიავინის ეკუთვნის და როგორ საზღვრავთ მაშინ, რომელია სწორი და რომელი არასწორი?

– აი ნახეთ: გერმანიამ ომი 22 ივნისს დაიწყო, მაგრამ რუსეთის მხრიდან იყო „არაპროპორციული რეაქცია“ – გამოცხადდა სამამულო ომი, მაშინ, როცა შეგვეძლო კაპიტულირებაც.

– ვის ვის ადარებთ ახლა?

– მე ვგულისხმობ უცნაურ პასაჟს – „ისინი თავს დაესხნენ, თქვენ კი არაპროპორციულად ირეაგირეთ“.

– მე ტალიავინის მოხსენებას ვციტირებ...

– ჰოდა, არ დასხმოდნენ და არც ჩვენ არ მოვახდენდით არანაირ რეაგირებას.

– ამას მას ეუბნებით – ქალბატონ ტალიავინს?

– მასაც და მათაც, ვინც ამ თვალსაზრისს იცავს. ჩვენ საქართველოს მშვიდობისთვის იძულების ოპერაცია ჩავატარეთ, შევასრულეთ ეს ფუნქცია, გავედით ამ ტერიტორიაზე და სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს ფარგლებს იქით ერთი მტკაველი მიწაც არ დაგვიპყრია. ასე, რომ, ვთვლი, რომ ყველაფერი სწორად გავაკეთეთ.

თუ რამეს ვნანობ, ისაა, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი გაცილებით ადრე უნდა გვეღიარებინა და ეს რომ არ გავაკეთეთ, აი ამას ნამდვილად ვნანობ...

რუსული ხრიკები ყურადღების გადასატანად

„ძმური“ ყულფი აფხაზეთის კისერზე

ამასწინათ სოხუმში სამეცნიერო კონფერენცია „დიდი თამაში კავკასიაში. თანამედროვე პოლიტიკური რეალიები“ გაიმართა. რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზისა და აფხაზეთში რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებმა, ასევე რუსმა ექსპერტებმა აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, აფხაზ საზოგადო მოღვაწეებთან და ჟურნალისტებთან ერთად საქართველოსა და ნატოს მხრიდან მომავალ საფრთხეებზე იმსჯელეს.

პანდემიის ფონზე გამართულმა, „საერთაშორისოდ“ მონათლულმა ღონისძიებამ პაპასკირის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში 40-ზე მეტ მონაწილეს მოუყარა თავი. მის ოფიციალურ ორგანიზატორად კი „რუსი თანამემამულეების ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო“ მოგვევლინა.

რუსმა პოლიტოლოგებმა ტრადიციულად, ბევრი ისაუბრეს წარსულზე, მათ შორის – გასული საუკუნის 90-იანი წლების ომზე და იმ მძიმე პერიოდის შეხსენების შემდეგ პარალელები გაავლეს აწმყოსთან, რომელიც „საქართველოს მხრიდან აფხაზი ხალხისა და მთელი აფხაზეთის მშვიდობისა და სტაბილურობისთვის საფრთხის შემცველად“ შეაფასეს.

„ჩვენი შეკრების მიზანია, გავაანალიზოთ საფრთხეები, რომელსაც აფხაზეთს მტრული სახელმწიფოები, ასევე საქართველოში ნატო-ს გაძლიერება უქმნიან და მოვახდინოთ საერთაშორისო თანამეგობრობაზე ნეგატიური საინფორმაციო ზემოქმედების შესაძლო შედეგების პროგნოზირება“, – განაცხადა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა – საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ელენა ჟილინსკაიამ.

გამომსვლელები მოკლე მოხსენებებს აკეთებდნენ საქართველოში სამხედრო სფეროს მდგომარეობის თაობაზე და სლაიდ-შოუც კი გამართეს ქართული ჯარის სიძლიერის შესახებ, რომელიც, მათი მტკიცებით, „აფხაზეთის განადგურებაზეა მიმართული რუსეთის საზღვრებთან მაქსიმალური მიახლოების მიზნით“.

„საქართველო არის აგრესორი. ყველა მისი წვრთნა აფხაზეთის მიმართ შემტევი ხასიათისაა. საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები მათ პოლიგონებზე აქტიურად მონაწილეობენ ნატოს წევრ სახელმწიფოებთან ერთობლივ სწავლებებში. თავის მხრივ, აფხაზეთის შეიარაღებული ძალები მხოლოდ თავდაცვითი მიმართულებით იწვრთნებიან, თანაც ამისათვის მკაცრად განსაზღვრულ ადგილებში“, – განაცხადა რუსული სამხედრო ბაზის მეთაურის მოადგილემ სამხედრო-პოლიტიკური მუშაობის საკითხებში ზაგირა ვალიევამ.

სიტყვით გამოსვლების უმრავლესობა საქართველოსა და მის „მზარდ სამხედრო პოტენციალს“ ეხებოდა. აი, თავად აფხაზეთის, მისი ყოფისა და სამხედრო პოტენციალის შესახებ კი ორგანიზატორების მხრიდან სიტყვაც არ თქმულა. ამასთან, რესპუბლიკაში რუსეთის დღითიდღე მზარდი სამხედრო წარმოდგენლობის შესახებ პრეტენზიებს, რომელთაც ღონისძიებაზე პერიოდულად აჟღერებდნენ მიწვეული სტუმრები, ორგანიზატორები მათ ძირშივე კვეთდნენ, რათა საუბარი „არასაჭირო“ მიმართულებით არ წასულიყო.

აფხაზური მხარის წარმომადგენლების უმრავლესობა „ყოველი შემთხვევისთვის“ დუმდა და თავის ქნევით „ეთანხმებოდა“ რუსი გამომსვლელების თეზისებს. ამასწინათ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციის – „სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ოლეგ დამენია კი კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ „აფხაზეთის მაცხოვრებლებს არავითარი უფლება არ აქვთ, რუსეთზე ცუდი იფიქრონ, რადგან მსგავსი აზრები მხოლოდ მტერს აძლევს ხელს, რომელიც დღედაღამ აფხაზეთის დაჩოქებაზე ოცნებობს“. აფხაზეთში ცნობილმა ფილოსოფოსმა და საზოგადო მოღვაწემ ამ გამოსვლით, როგორც ჩანს, დამსწრე რუსი სამხედროებისა და პოლიტოლოგების გულის მოგება სცადა, თუმცა ისინი მის აღტყინებას საკმაოდ გრილად შეხვდნენ და ღონისძიების საინფორმაციო შემადგენელზე აქცენტირდნენ.

ამ თემაზე აზრის გამოხატვა აფხაზური მედიის წარმომადგენლებს შესთავაზეს – და მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ალაპარაკდნენ თუ არა ჟურნალისტები, დისკუსიამ ცხარე კამათის სახე მიიღო. თავად აფხაზური მედიის მუშაობის მიმართ რიგ პრეტენზიებთან ერთად, ჟურნალისტებმა იმ შეცდომებზეც ისაუბრეს, რომელსაც რესპუბლიკის მიმართ რუსული ფედერალური ტელეარხები და სააგენტოები უშვებენ. ხოლო „საინფორმაციო ომი“, რომელსაც რუსეთი პერიოდულად უცხადებს აფხაზეთს, №1 თემად იქცა და კონფერენციის სამხედრო კონტენტი ფაქტობრივად გადაფარა.

შენიშნეს რა საუბრის აქცენტის საქართველოდან რუსეთზე გადასვლა, ორგანიზატორებმა რამდენჯერმე თემის შეცვლა და მონაწილეთა ძირითად – ანტიქართულ თემატურ კალაპოტში დაბრუნება სცადეს. თუმცა აფხაზი ჟურნალისტები ამით მხოლოდ გახელდნენ და კიდევ უფრო გააქტიურეს მათ მიერ წამოჭრილ საკითხებზე საუბარი. შედეგად ერთსაათიანი შეხვედრა 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა.

უცნაურია, მაგრამ შემაჯამებელ ინფორმაციაში ამის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი: ამ საკითხს მხოლოდ ორიოდ წინადადება დაეთმო და მათშიც დამახინჯებულად არის გადმოცემული ჟურნალისტების მოსაზრებათა არსიცა და ანტირუსული განწყობაც.

აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო“ კონფერენცია რუსულ-აფხაზური ურთიერთობების არგამხელილი მწვავე ფაზის ფონზე გაიმართა. რუსებისა და აფხაზების მრავალსაუკუნოვან ძმურ და მეგობრულ ურთიერთობებზე საუბრისას რუსული მხარის წარმომადგენლებს სიტყვაც არ წამოსცდენიათ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე – მაგალითად, აფხაზი საზოგადო მოღვაწეების, აფხაზური პარლამენტისა და ბიჭვინთის მცხოვრებლების კონფლიქტზე რუსეთის დაცვის ფედერალურ სამსახურთან, რომელიც აფხაზეთისთვის ბიჭვინთაში 200 ჰა ტერიტორიისა და იქ განთავსებული სახელმწიფო აგარაკის 1 რუბლად წართმევას ცდილობს, არც რუსეთის მიერ მთელი აფხაზური ენერგეტიკის მისაკუთრების მცდელობაზე თავის გადამცემ ხაზებთან ერთად. და სანამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მოსკოვის ამ მოთხოვნებს არ შეასრულებს, აფხაზეთმა არც მშვიდ ცხოვრებაზე უნდა იოცნებოს, არც დახმარებაზე.

მართალია, მედიაში ეს არ ასახულა, თუმცა აფხაზეთში ყველა მშვენივრად აცნობიერებს რეალურ ვითარებასა და იმ პრობლემების მასშტაბს, რომელიც აფხაზეთს რუსეთის მოთხოვნების არშესრულების შემთხვევაში ემუქრება.

ამ ფონზე საგულისხმოა თავად ფაქტი იმისა, რომ იმართება კონფერენცია, რომელზეც საქართველო, აშშ, ნატო აფხაზეთის მთავარ მტრებად არიან წარმოდგენილები, ხოლო რუსეთი – მეგობრად, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა, მოლოდინების საპირისპიროდ, უკვე საგრძნობლად შეავიწროვა მოძმე აფხაზი ხალხის კისერზე ყულფი.

მსგავსი ღონისძიებები გაცილებით უფრო ჰგავს ყურადღების გადატანის მცდელობას, ვიდრე რეალურ ზრუნვას აფხაზეთის აწმყოსა და მომავალზე. აფხაზურმა საზოგადოებამ ეს სათანადოდ – ყოველგვარი შელამაზების გარეშე შეაფასა.

კრისტინა ავიძბა

მასალა მომზადებულია საინფორმაციო სააგენტო „აქცენტისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია GRASS-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც დია საინფორმაციო პარტნიორობის (OIP) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება).

გაცვლითი პროგრამის სიკეთე,

ანუ ევროპის ბაზარი ბოსლევერ ჟოლოს ელის

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დიდი ხნის გამოცდილება გააჩნია მოწინავე სტუდენტების გაცვლითი პროგრამის საშუალებით საზღვარგარეთ გაგზავნაში, მათ ხელშეწყობასა და შემდეგ იქ მიღებული ცოდნის სამშობლოში განხორციელების საქმეში. რაოდენ სასიხარულოა, რომ გაცვლითი პროგრამა (ერასმუსის) მიერ წარგზავნილი შენს მიერ აღზრდილი სტუდენტები თავს ისახელებენ და ამას საქვეყნოდაც აღიარებენ უცხოელები.

გერმანული ჟურნალი „ლაიმსი“, რომელიც გერმანიაში ბიზნესისა და თანამედროვე ტექნოლოგიებისადმი მიძღვნილ პროექტებს აშუქებს, თავის გვერდზე ვრცლად გამოეხმაურა ქართველი სტუდენტების ამ პროგრამაში მონაწილეობს. ჟურნალმა მიმოიხილა საქართველოს ისტორია, მკითხველს გაახსენა, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა და მისი წარმოების 8 ათასწლიანი ტრადიცია აქვს, ხორბლის ენდემური ჯიშებითა და მისი მოყვანით კი არც ღვინის ტრადიციებს ჩამორჩება და დიდი პერსპექტივა გააჩნია ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოყვანასა და წარმოებაში. შემდეგ კი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებზე **არჩილ ფურცელაძესა** და **ნიკა შაკაიაზე** ისაუბრა, რომლებიც სტუდენტების გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობდნენ გერმანიაში ჰალენის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ჰალენის ტექნიკურ უნივერსიტეტში მსოფლიოს 40 ქვეყნის წარმომადგენელი სწავლობს. აქ დიდი ყურადღება ექცევა საკვების დამზადების თანამედროვე მეთოდებს.

ქართველ სტუდენტების (ხელმძღვანელი ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი მალხაზ დოლიძე) გამგზავრებას დიდად შეუწყო ხელი უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა **დავით გურგენიძემ** და უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა **ლევან კლიმიაშვილმა,** სწორედ მათი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით მოხერხდა სტუდენტების დაოსტატება გერმანიაში. გერმანელთა მხრიდან ჩვენს უნივერსიტეტს სტუმრობდა სტუდენტი იოჰენ შაუფერლბერგელი, რომელიც ქართული ქვევრის ღვინით იყო დაინტერესებული (ხელმძღვანელი პროფესორი **იულრიხ ჰოლსბაუერი**).

გერმანელი პროფესორი ქართველ სტუდენტებს უდიდეს ყურადღებას, თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა ბიოპროდუქტების და პურპროდუქტების წარმოების თანამედროვე საკითხებზე. ქართველი სტუდენტები გაეცვნენ ფირმა „შტაინმაიერის“ პურის საცხობ ქარხანას და პრაქტიკული გამოცდილება შეიძინეს ფქვილის საწარმო „ჰიმაცმიულერში“.

ყველაზე საინტერესო გახლდათ, რომ გერმანელთა დახმარებითა და რეკომენდაციით ტექნიკური უნივერსიტეტის ტუდენტმა არჩილ ფურცელაძემ, დმანისის რაიონის სოფელ ბოსლევში გადაწყვიტა ჟოლოს ბაღების გაშენება. მან თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ლაბორატორიაში განახორციელა მიწის ქიმიური ანალიზი და შესაბამისი კვლევები. შედეგმაც არ დააყოვნა. სწორედ ეს თემა გააშუქა გერმანულმა ჟურნალმა. დღეს აქ მოყვანილ ჟოლოს აწვდიან ქართულ საკონდიტროებს, დაგეგმილია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიწოდება გერმანიაში, სადაც ჟოლოს კარგი რეალიზაციაა შესაძლებელი.

რაოდენ სასიხარულოა, რომ სტუდენტურმა გაცვლითმა პროგრამამ ასეთი კარგი შედეგი გამოიღო.

ავთანდილ ბექაური

◎ ტრაგედია

სისხლიანი ორშაბათი

სამი დაღუპული და ორი დაჭრილი — ასეთია წინანდლის მუხიანის ტყეში მომხდარი სისხლიანი კრიმინალური ბიზნეს-გარჩევის სავალალო შედეგი.

მოკლულთა შორისაა ზვიად ზვიადაური, ხოლო მკვლელობისთვის ორ დაკავებულთაგან ერთ-ერთია მისი ძმა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მმართველი პარტიიდან ზურაბ ზვიადაური, რომელმაც, ერთ-ერთი ვერსიით, შეტაკების შედეგად დაჭრილ-დახოცილი მონაწილენი საავადმყოფოში თვითონ მიიყვანა და პოლიციას თავად ჩაბარდა.

შეგახსენებთ, რომ ტატამის დიდოსტატი ადრეც არაერთხელ ფიგურირებდა გახმაურებულ ფაქტებში. სხვათა შორის, ბედის ირონიით, გუშინ მისი ელადური ტრიუმფიდან 17 წელი შესრულდა.

◎ ტოკიო — 2020

ფორუმი გრძელდება!

ჯერაც არ გაგვნელებია „ჯვაროსანთა“ მიერ ერთი წლის დაგვიანებით გამართულ 32-ე თამაშებზე მოპოვებული წარმატებებით მოგვრილი სიხარული, რომ იაპონიის დედაქალაქიდან უკვე ქართველ პარალიმპელთაგან მოხვეჭილ მედლებს ველით.

ჩვენი ქვეყნის დელეგაცია 6 სახეობის წარმომადგენელი 14 პარასპორტსმენით ტოკიოში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:

ეტლით ფარიკაობა — ირმა ხეცურიანი, ნინო თიბილაშვილი, გვანცა ზადიშვილი;

პარაძიუდო — ზურაბ ზურაბიანი (60), გიორგი გამჯაშვილი (66), გიორგი ქალდანი (73), ზვიად გოგოჭური (100), რევაზ ჩიკოიძე (+100), ინა ქალდანი (70);

წოლჭიმი — აჰმად რაზმ აზარი (80), აკაკი ჯინჭარაძე (107);

პარაცურვა — ნიკა თვაური;

პარამძლეოსნობა — დავით ქავთარაძე;

პარასროლა — ლადო ჭინჭარაული.

დავძენთ, რომ აღნიშნული კომპლექსური ღონისძიება 25 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე გაგრძელდება.

მინაწერი: ეშმაკს არ სძინავსო, ისე დაემართა ამომავალი მზის ქვეყანაში ჩასულ საქართველოს გუნდს.

საუბარია ერთ-ერთ ძიუდოისტზე, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია და, როგორც შევიტყვეთ, თავის წონით კატეგორიაში ფავორიტად მიიჩნეოდა (გავრცელებული სავარაუდო ინფორმაციით, ეს ზვიად გოგოჭურია).

რაც შეეხება შემთხვევას, მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებია ოლიმპიური სოფლის დაცვის წევრისთვის, თანაც, რაც კიდევ უფრო ალმაშფოთებელია, ამ დროს ნასვამი ყოფილა! ბუნებრივია, დებოშიორი პარალიმპური ფორუმიდან მყისიერად მოკვეთეს.

◎ რჩეულნი

მართლაც, დროა!

ეტყობა, ქართულ რაგბიში ატეხილი შფოთი ისტორიას ჩაბარდა. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მეტყველებს „თბილისი მარიოტში“ გამართული სრკ-ის ნამდვილ წევრთა რიგგარეშე საერთო კრება, რომელმაც ახალი გამგეობა დაამტკიცა.

კი, ბატონო, იყო აწეული ტონიც, კამათიც, მაგრამ საბოლოოდ 39 კლუბის (41-დან) 72 ხმოსანი წარმომადგენელი (74-დან) მაინც შეჯერდა და ნდობა შემდეგ თერთმეტეულს გამოუცხადა:

სრკ-ის პრეზიდენტ იოსებ ტყემალაძის კანდიდატურები: გიორგი კობახიძე, გივი ჭიჭინაძე, აკაკი დავითულიანი, მამუკა გორგოძე, ზვიად თავართქილაძე, გელა ქობულაძე (აჭარის რეგიონი).

კლუბების კანდიდატურები: მერაბ ანთაძე, გიორგი ქერაშვილი, ალექსანდრე ხვედელიძე, კობა გიორგაძე, დავით კაჭარავა.

ბუნებრივია, „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულ „ბორჯღალოსანთა“ ან კიდევ უფრო ძველი თაობის ღირსეულ წევრთა არჩევამ „კრიტიკული მედიის“ აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ რატომ არ ინტერესდებიან ისინი: სად იყო მაშინ მმართველი პარტია, როცა ისინი ოვალური ბურთით თამაშს იწყებდნენ?

მას შემდეგ, რაც ითქვა, რომ რაგბის კავშირის ბიუჯეტში სახელმწიფოს წილი 17,5 მილიონი ლარიდან 27,5 მილიონამდე გაიზარდა, რის შედეგადაც კლუბების დაფინანსებამაც მოიმატა და სრკ-ის დავალიანების ნაწილიც დაიფარა, უმრავლესობის მხარდაჭერით მისი ახალი წესდებაც დამტკიცდა.

აქვე იოსებ ტყემალაძის მიერ გაჟღერებული სასიხარულო ინფორმაციაც: ლევან მაისაშვილი თავს თურმე უკეთ გრძნობს და უკვე პირადად შეძლო კომუნიკაცია, უახლოეს პერიოდში კი ექიმები მისი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას ვარაუდობენ.

◎ თაობა

შესანიშნავი შვიდეული

2-2 „ოქრო-ვერცხლი“, 3 „ბრინჯაო“ და ვაჟთა ტურნირში დაკავებული გუნდური მეორე ადგილი ფრანგების შემდეგ — ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ ქართველი ძიუდოისტები იტალიის ქალაქ უდინეში გამართული ევროპის ახალგაზრდული თასის გათამაშებიდან.

აი, შესანიშნავი შვიდეული:

„ოქრო“ — ნიკა ხარაზიშვილი (90), საბა ინანეიშვილი (+100);

„ვერცხლი“ — მიხეილ ჯაფარიძე (100), ირაკლი დემეტრაშვილი (+100);

„ბრინჯაო“ — შაქრო შათირიშვილი (60), თენგიზ ზირაქაშვილი (66), თორნიკე ფოლადიშვილი (90).

◎ მამლუქი

თხემით ტერფამდე...

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების ფოთელი მთავარი მწვრთნელი ზაურ ანთია სამშობლოში ნაყოფიერი მოღვაწეობის შემდეგ 2003 წელს ირლანდიელ მოკრივეებს ჩაუდგა სათავეში და უკვე თითქმის ორი ათეული წელიწადია, რაც რინგის იქაურ დიდოსტატებს აფრთიანებს.

როგორც მოგეხსენებათ, ტოკიოს ოლიმპიადაზე არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ მოუპოვა მედლები სხვადასხვა სახელმწიფოებს (მაგალითად, ძიუდოისტთა ტურნირში — მხეიძემ საფრანგეთს და ბორჩაშვილმა — ავსტრიას).

გამონაკლისს არც ჩვენი წერილის გმირი წარმოადგენს, რომელმაც ზედიზედ მესამე თამაშებზე გვასახელა თავის ამპლუაში და 7 ლიცენზიანტის მიერ მოხვეჭილი იაპონური ჯილდოებით (1 „ოქრო“ — კელი ჰერინგტონი 60 კგ-ში და 1 „ბრინჯაო“ — ეიდან უოლში 69 კგ-ში) საერთო მონაგარი 9 მედლამდე გაზარდა, საიდანაც უმაღლესი სინჯის კიდევ ერთი ნადავლის მფლობელი 2012 წელს ლონდონურ ფორუმზე ასევე 60 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე კეტი ტეილორი გახდა.

„ზაურ ანთია ყოველთვის ამჯობინებს დარჩეს უკანა პლანზე და თავის შეგირდებს მისცეს ყურადღების ცენტრში ყოფნის საშუალება“, — წერს „ინდეპენდენტი“ ირლანდიის როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ყველა ასაკობრივი ნაკრების ქართველ მთავარ მწვრთნელზე, რომელიც ცხრა მთას იქითაც პატრიოტად რჩება და ამბობს:

„მე ქართველი ვარ, საქართველო ჩემს გულშია და, ცხადია, ყოველთვის იქნება!

რაც შეეხება დაბრუნებას... ჩავალ ახლა ირლანდიაში, სადაც წარმატებით გახარებული კრივის ფედერაცია მელოდება და ავწონ-დავწონი ყველაფერს. მოკლედ, დღეიდან დავფიქრდები და ვნახოთ...“

◎ დანაკარგი

საფეხბურთო სამყარო 75 წლის გერდ მიულერს გლოვობს.

მსოფლიოს, ევროპისა და გერმანიის (ოთხგზის) ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის (სამგზის) და თასების მფლობელთა თასის, აგრეთვე „ოქროს ბურთისა“ და „ოქროს ბუცის“ (ორგზის) მფლობელი 365 გოლით ბუნდესლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია, რომელსაც ბუნდესმანშაფტის უნიკალური რეკორდიც ეკუთვნის — 62 თამაშში გატანილი 68 ბურთი!

ეს გენიალური გერმანელის შთამბეჭდავი კარიერის მხოლოდ აისბერგის წვერია. რაც შეეხება სათავეს, „ადამიანი — გოლის“ ფენომენის შესწავლას ალბათ კიდევ დიდი დრო დასჭირდება.

ყოველ შემთხვევაში, დღემდე ვერავინ ამოხსნა ბურთის მისეულად, ყველასაგან გამორჩეულად ბადეში მოთავსების საიდუმლო. საკითხავია — შეძლებს კი ოდესმე ვინმე?

საუკუნის სნაიპერი

ძველ ჩიკაგოში...

ჰოკეის დიდების დარბაზის წევრი, ნჰლ-ის სეზონის სამგზის საუკეთესო მეკარე, სეზონის საუკეთესო დებიუტანტი, „ჩიკაგოს“ აბსოლუტური ლიდერი „მშრალი მატჩებისა“ (74) და მოგებების (418) რაოდენობით — ასეთად დაამახსოვრდება „ბლექ ჰოუქსის“ გულშემატკივრებს კლუბის ლეგენდა ტონი ესპოზიტო, რომელიც 79 წლისა კიბოთი გარდაიცვალა.

მან ნჰლ-ში 16 სეზონი ითამაშა და აქედან 15 „ჩიკაგოს“ შემადგენლობის შეუცვლელი წევრი გახლდათ.



ბელა, ბელიკო, ანაბელა

„ხვალ ჩემი დაბადების დღეა...“, ასე ასათაურებს ნახევარი საუკუნის აღმნიშვნელ საიუბილეო თარიღის შესახებ ავტობიოგრაფიულ ჩანახატს **ბელა დურგლიშვილი**. **„აჰა, გასრულდა 50 წელი, რამდენი დრო გასულა – ნახევარი საუკუნე. რა ჩამრჩა ამ ხნის განმავლობაში სულში, გულსა და გონებაში“,** იწყებს წერას და ნაფიქრალს მისთვის ჩვეული სიღრმით, სიყვარულით, პროფესიული ოსტატობითა და ტაქტით გადმოგვცემს.

უძვირფასესო დედა, აჰა, გასრულდა 80 წელი – შენთვის იმქვეყნად, ხოლო ამქვეყნად, ამ საიუბილეო თარიღზე, შენს ნაცვლად ჩვენ ვფიქრობთ ცოტათი მაინც როგორ გამოვხატოთ შენ მიერ დანატოვარი წარუშლელი, დაუვიწყარი ნაკვალევი ჩვენს სულში, გულსა და გონებაში.

გრძნობის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელი ამოცანაა, მაგრამ გვსურს შენს მოყვარულ, დამფასებელ და პატივისმცემელ ადამიანებთან ერთად გავიხსენოთ ის უდიდესი ბედნიერება, შენი არსებობით რომ გვქონდა თითოეულს. შენ ხომ იმ მცირერიცხოვან ადამიანებს წარმოადგენდი, ვისითაც სამყარო მშვენიერდება და კეთილშობილდება. შენ მიერ არჩეულ თუ ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ ყველა როლში მისაბაძი და შეუდარებელი იყავი – დედა, მეუღლე, კოლეგა, პროფესიონალი, ნათესავი, მეგობარი, უბრალოდ, საოცარი ადამიანი!

შენი შეყვარება ძალიან ადვილი იყო და თავადაც სიყვარულით გქონდა სავსე გული. დღემდე გვიკვირს, ბედის მიერ ბავშვობიდანვე შენთვის ბოძებული რთული ცხოვრების ფონზე, როგორ ასწრებდი და ახერხებდი მაქსიმალურად საქმიან და პირად ურთიერთობებს, მუდმივად სხვებზე ზრუნვასა და სიყვარულს, სითბოს, ყურადღების უხვად გაცემას. შენი შინაგანი და გარეგნული მშვენიერება არავის ტოვებდა გულგრილს და ამიტომაც, ყველას თავისი შეუცვლელი წილი ბელა, ბელიკო, ანაბელა გვყავს!...

მრავალმხრივ ნიჭიერმა, აქტიურმა და იუმორით აღსავსემ, მდიდარი პროფესიული და შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვე. ბუნებით თავმდაბალს, არასდროს გიყვარდა საკუთარ თავსა და მიღწევებზე საუბარი. ამის ბრალიცაა, რომ შენი მდიდარი გამოცდილებით დატვირთული პროფესიული მოგონებები, სამწუხაროდ, ჩანაწერის სახით არ გვაქვს. საყვარელ ჟურნალისტიკასთან ერთად, ერთგულებდი ასევე, საყვარელ ჰობს – შარჟების ხატვასა და თოჯინების შექმნას. შენს შემოქმედებას ბევრი კარგად იცნობს და აფასებს.

ძალიან განიცადე პროფესიული როლის გაპასიურება, რომელიც 2007 წელს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა და ოჯახში შექმნილმა მძიმე განსაცდელმა გამოიწვია. წლების მანძილზე უვლიდი ავადმყოფ ძვირფას მეუღლეს. შენი აქტიური, მიზანდასახული, შრომისმოყვარე, კომუნიკაბელური ბუნება ვერ შეურიგდა საყვარელ საქმესთან ჩამოშორებას, რამაც თავისი წილი შედეგი გამოიღო მძიმე სენის სახით...

1966 წელს მიხვედი ქვეყნის მთავარ გაზეთში „კომუნისტი“ („საქართველოს რესპუბლიკა“), სადაც წარმატებული პრაქტიკის შემდეგ მიგიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების ახალკურსდამთავრებული. ბოლომდე ერთგულებდი საყვარელ გაზეთს და ბევრ ახალგაზრდა კოლეგას გაუზიარე პროფესიული და ადამიანური გამოცდილება. წლების განმავლობაში ჩვეული პროფესიონალიზმით აშუქებდი ქვეყნის განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების საქმიანობას. 1990 წელს საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მოგენიჭა, ხოლო 1999 წელს ღირსების მედლით დაჯილდოვდი.

დედა ბელა დურგლიშვილი კი ისეთი იყავი, რომ ვერასოდეს შევძლებთ სათანადო და საკმარისი სიტყვების მოძებნას... ერთს აღვნიშნავთ მხოლოდ – იმ იშვიათ, საუკეთესო ადამიანებს მიეკუთვნებოდი, სუბიექტური და ობიექტური აზრი სრულად და ყოველთვის რომ ემთხვევა ერთმანეთს.

უსაზღვროდ მადლიერები ვართ, რომ შენი შვილობის ბედნიერება გვარგუნა ღმერთმა!

დიდი მადლობა და 80 წლის იუბილეს იმქვეყნად გილოცავთ, დედა!

19 აგვისტოს, ფერისცვალებას, ბელა დურგლიშვილის დაბადების დღეა, 80 წლის იუბილე – განუმეორებელი და ყველას ბელასი, ბელიკოსი, ანაბელასი.

თეონა და ეკატერინე ლომთაძეები

„ჩვენი ილიჩი“

ვლადიმერ სიმონიშვილი – ჩვენი ვალიკო ბატონი, რომელსაც ყველა სიყვარულით „ილიჩს“ ანდაც „ვლადიმერ ილიჩს“ ეძახდა. მათი ლამაზი, მწვანეში ჩაფლული, აივნიანი სახლი დღესაც ამშვენებს „სიყვარულის ქალაქს“, ახლა იქ ჩვენი ილიჩის შთამომავლები სტუმრობენ ყოველ წელიწადს – შვილები, ტყუპი ქალ-ვაჟი გიორგი და თამარი, მათი შვილები და შვილიშვილები. თავად ოჯახის თავკაცი ვალიკო ბატონი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე უკეთილშობილეს მეუღლესთან, საქართველოს დამსახურებულ პედაგოგთან, ერთი თვის წინ გარდაცვლილ ნანა ვადაჭკორიასთან ერთად, ხომ თითქმის სიღნაღში ცხოვრობდა. ყოველ კვირას სტუმრობდა რამდენიმე დღით მშობლიურ სახლს და იქაურობისა და სიღნაღელთა სიყვარულს შთამომავლებსაც უნერგავდა.

„ბებია გურიიდან წერილებს რომ გვწერდა, სიმონეიშვილიო აწერდა კონვერტზე. ალბათ, მართლაც სიმონეიშვილები ვიყავით და შეცდომით, აქ კახეთში სიმონიშვილებად ვიქეცითო“, – მთელი სერიოზულობით გვიყვებოდა ჩვენი ილიჩი. არასოდეს აკლდა გენში გათქვეფილი გურულ-კახური იუმორი, სიდინჯე, სიყვარული, ერთგულება, შიგა და შიგ ფეთქებადი ხასიათი. დაუზარელი იყო, პატარა ბავშვსაც გაეგზავნებოდა საქმეზე, ოღონდ რამეში დახმარებოდა.

ვლადიმერ (ვალიკო) სიმონიშვილი – საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსების ორდენოსანი, დიდი პროფესიონალი, უღალატო მეგობარი, ასეთი გვახსოვს და ასეთი გვემახსოვრება მუდამ იმ დიდ სამეგობროს, რომელსაც ჟურნალისტთა საძმო ჰქვია. სამეგობრო კი ბავშვობიდან მოყოლებული მართლაც საამაყო ჰყავდა, ილიჩითაც ამაყობდნენ. **„ერთ სკოლაში ვსწავლობდით მე და ძმები ჭილაძეები (გამოჩენილი ქართველი მწერლები ოთარ და თამაზ ჭილაძეები), უნივერსიტეტში კი ჯანსუღ ჩარკვიანი, კოია გომართელი. ფილოლოგიის ფაკულტეტიდან სწორედ იმ წელს გამოეყო ჟურნალისტიკის განყოფილება და ჟურნალისტობა ვარჩიეო“.** არც შემცდარა არჩევანში, ღირსეულად ემსახურა ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. შორს იყო მისგან ყოველგვარი ინტრიგა, მიკერძოებულობა, შური. მართლაც ენციკლოპედიური განათლება ჰქონდა მიღებული. მუდამ ახალგაზრდა კოლეგებთან ტრიალებდა, ჟურნალისტობის ანაბანას ასწავლიდა, მათი თანატოლი იყო, ჩვეული იუმორით გამორჩეული სასიამოვნო მოსაუბრე გახლდათ. გასახსენებელიც ბევრი ჰქონდა და ათეული წლების წინანდელი ამბებიც დღევანდელივით ახსოვდა.

„ჩვენი ილიჩი“ ამ ოცდაათი წლის წინათ გავიცანი. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში, გაზეთ „რესპუბლიკაში“. ახალდაარსებული გაზეთის მეორე ნომერი გამოდიოდა, რედაქტორმა, აწგანსვენებულმა ჯემალ ნინუამ ჯერ თანამშრომლები გამაცნო, შემდეგ დინჯად ერთ სიმპათიურ მამაკაცს გადახედა – აბა, ჩემო ვალიკო, ამ ბიჭს მიმიხედეო და ასე დაიწყო ჩემი ჟურნალისტობაც. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობაც, მამაშვილობაც, სიყვარულიცა და ერთგულებაც. არასოდეს უფროს-უმცროსობის ზღვარს არ გადავსულვარ, რადგან ამის საშუალებას არ მაძლევდა – ყოველთვის თვითონ იყო უმცროსი, თავისი ხასიათიდან გამომდინარე. გვერდიდან არ მიცილებდა, იმ დღიდან მოყოლებული ერთ ოთახში გვიწევდა ყოველთვის ყოფნა, ერთმანეთის გვერდიგვერდ „რესპუბლიკაში“., „გაუხმაურებელ ფაქტებში“, „სიყვარულში“, „საქართველოს რესპუბლიკაში“, იხურებოდა და იხსნებოდა გაზეთები, იყო მუქარა, დაშინება, იყო უხელფასობა, უშუქობა, განუკითხაობა, შიგადაშიგ გალაღებული ცხოვრებაც იყო. სადაც კი მოუწევდა ილიჩს მუშაობა, ყველა გაზეთში თან მივყავდი. იცვლებოდნენ მთავრობები, რედაქტორები, კოლექტივები, არ იცვლებოდა ჩვენი ურთიერთობა. არასოდეს უღალატია ილიჩს იმ სიტყვებისთვის, რომელიც ოცდაათი წლის წინათ უთხრა რედაქტორმა – ამ ბიჭს მიმიხედე, ჩემო ვალიკო.

უღალატა მხოლოდ ერთხელ და უკანასკნელად, როდესაც ამ რამდენიმე წლის წინათ ზეციურ საქართველოში გადასახლდა. დღეს ჩვენი ილიჩი 90 წლისა გახდებოდა. წავიდა ამ ქვეყნიდან დამსახურებული, სიტყვაგაუტეხელი, მეგობრებისთვის უღალატო, ტრადიციების დამცველი, ნაღდი კაცი. ყოველთვის მიკვირდა, ვინმეს მოსაგონარ წერილს, ანდა საქებ-სადიდებელ სტატიას ათობით კაცი რომ აწერდა ხელს, ნუთუ ყველასათვის ასეთი საყვარელი, შინაური და თბილი იყო ეს პიროვნება-მეთქი. შეიძლება ერთი წერს და დანარჩენები ისე, ზერელედ, ზრდილობის გულისთვის აწერენ ხელს?

ჩვენი ილიჩი აქაც გამონაკლისია, მე ვწერ, მაგრამ უამრავი ჟურნალისტი, მწერალი, მხატვარი, უბრალოდ სხვა პროფესიის ადამიანი მოაწერდა ხელს ამ მოსაგონარ წერილს, ყველა, ვინც კი ვალიკო-ვლადიმერ სიამონიშვილს იცნობდა. უბრალოდ, მათ გულისთქმას გამოვხატავ. ჟურნალისტებს ასეთი წესი აქვთ, ან ჯერ სათაურს წერენ და იციან, რა უნდა მოაყოლონ, ან წერილს დაწერენ და შემდეგ უკეთებენ სათაურს. აქ გამონაკლისია – ყველა მისი მეგობარი ასე დაასათაურებდა დაუფიქრებლად: „ჩვენი ილიჩი“!!!

მეგობრების სახელით
მამუკა ვაშაკიძე

თბილი და ულამაზესი დაიკო!

დღეს ჩვენი ულამაზესი კოლეგის, რედაქციის უსაყვარლესი ქალბატონის **ბელა დურგლიშვილის** საიუბილეო დღეა. ყველას ახსოვს ეს პროფესიონალი, თბილი, მოსიყვარულე ადამიანი, მიუხედავად მრავალი პრობლემისა, რომელიც მოულოდნელად დაატყდა თავს, უსაყვარლესი მეუღლის ავადმყოფობით გამოწვეული, იგი მაინც სულიერად ძლიერი, ყველაფერს უმკლავდებოდა. ერთი დღეც არ გვახსოვს, სარედაქციო საქმეებისთვის ეღალატა. საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსების მედალოსანი, ახალგაზრდა თაობის დამრიგებელი, შესანიშნავი პუბლიცისტური წერილების ავტორი ყველგან გამორჩეული იმითაც ბრძანდებოდა, რომ იყო შესანიშნავი გრაფიკოსი. მისი მეგობრული შარჟები, პროფესიონალურ დონეზე შესრულებული, არამარტო გაზეთის გვერდებს ამშვენებდა, არამედ ყველა ჩვენგანისთვის შესანიშნავ საჩუქარს წარმოადგენდა.

ჩვენი ანაბელა, რომ არა უკურნებელი სენი, ჩვენთან, თავის ერთგულ ხალხთან ერთად შეხვდებოდა თავის საიუბილეო 80 წლის თარიღს!

გილოცავთ, ჩვენო ლამაზო და უნიჭიერესო კოლეგავ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, ოთარ ჭითანავა სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს რევაზ კვარაცხელიას შვილის

თემურ კვარაცხელიას

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, აფხაზეთის ყოფილი სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე

ზურაბ კაკუბავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯემალ უგულავა, შალვა მგალობლიშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ მეგობარს ზურაბ ჩიქოვანს მეუღლის, ღირსეული ქალბატონის

მანანა გოცირიძის

გარდაცვალების გამო.

◎ რეპლიკა

ღირსებაშელახული ძეგლი

ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი განსაკუთრებული ენთუზიაზმით ელოდა დიდგორის ომის ცხრაასი წლისთავის სახალხო ზეიმს. ყველანი დარწმუნებულები ვიყავით, რომ ამ ჭეშმარიტად ეროვნულ დღესასწაულს დაგვირგვინებდა დავით აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანა, ავტორის, მეოცე საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შერჩეულ ადგილზე!

სამწუხაროდ, ძეგლი ამჯერადაც ისევ ძველ, შეუფერებელ სივრცეში დარჩა.

არაერთი საგაზეთო წერილი, რადიო თუ ტელეგადაცემა, ჯგუფური მიმართვა, მოწოდება მიეძღვნა ამ პრობლემას.

ჩვენმა არქიტექტურულმა საზოგადოებამ თვალნათლივ დაასაბუთა, რომ ისტორიული გამოცდილებებიდან გამომდინარე, ძეგლის განთავსების არცერთი სივრცობრივი კანონი ამ ადგილზე არ არის დაცული.

დღეს დავით აღმაშენებლის ძეგლის ამ სივრცეში დატოვება პროფესიულ ღირსებას ულახავს არა მარტო ქართველ არქიტექტორს და მოქანდაკეს, არამედ კულტურის სფეროში მომსახურე ყოველ ადამიანს.

გასაკვირია, წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ ლიდერებმა რატომ არ გამოიყენეს ეს უძლიერესი საარჩევნო კოზირი და ძეგლის გადატანის საშუალება რატომ გაუშვეს ხელიდან?!

დავით აღმაშენებლის ქანდაკების ღირსეულ სივრცეში „ივერიის“ მოედანზე განთავსება ხომ უდიდეს მადლიერებას გამოიწვევდა საზოგადოებაში და კიდევ უფრო გაამყარებდა ხელისუფლებისადმი მათ ნდობას და პატივისცემას....

სამწუხაროდ, ქართველ ხალხს მოლოდინი ამჯერადაც არ გაუმართლდა....

არქიტექტორი
თამაზ დოგრაშვილი

კაცი, რომელიც მშობლიურ ენას გვაყვარებდა

81 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი და პოლიტიკოსი თამაზ კვაჭანტირაძე.

თამაზ კვაჭანტირაძემ 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1963-2006 წლებში იყო ახალი ქართული ენის კათედრის თანამშრომელი. 1978-1990 წლებში ჟურნალის — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ („ბალავარი“) რედაქტორი; 1975-1990 წლებში — ავტორი და წამყვანი საავტორო ტელეციკლისა „ტელეციკლი ქართულ ენასა და ლიტერატურაში“, 2002-2004 წლებში — „მოგზაურობა სასიტყვეთში“; 1993-1998 — წლებში საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი. 2000-2008 წლებში — საქართველოს პარლამენტის სასწავლო ცენტრის უფროსი. 2008-2012 წლებში იყო საქართველოს მეშვიდე მოწვევის პარლამენტის წევრი.

იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მფლობელი, ღირსების ორდენოსანი.

დიდი მწუხარებით ვიუწყები, რომ გარდაიცვალა ჩემი ბავშვობის მეგობარი, ყველასათვის საყვარელი

თამაზ კვაჭანტირაძე

ვიქტორ რცხილაძე

ფერისცვალება

უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

19 აგვისტოს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ფერისცვალებას.

ფერისცვალება იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ამიტომაც მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულად შერაცხა.

...როდესაც იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე ახლოვდებოდა, იგი უნდა ვნებულიყო ადამიანთა ცოდვებისთვის. მან იცოდა, რომ ბევრი ვერ გაუძლებდა ამას, ბევრი დაკარგავდა სასოებას და რწმენას, და იმედს საუკუნო ცხოვრებისას, ამიტომაც გადაწყვიტა, ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ ისინი რწმენით განემტკიცებინა, გაეძლიერებინა... ნიშანდობლივია ის, რომ თაბორის მთაზე ასაყვანად უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე. კითხვაზე — თუ რატომ წაიყვანა იესო ქრისტემ თაბორზე მხოლოდ სამი მოწაფე?! პასუხი ასეთია — სამი მოწაფის არჩევით უფალს იმის ჩვენება უნდოდა, რომ ფერისცვალება სამების ნებით მოხდა. ლოცვის დროს (თაბორზე) მაცხოვრის სახე განათდა. გაბრწყინდა როგორც მზე, ხოლო ტანსაცმელი თეთრი გახდა, როგორც სპეტაკი თოვლი და მას გამოეცხადნენ მოსე და ელია და აუწყეს მისი აღსასრულის შესახებ იერუსალიმში.

მოწაფეები თავიდან რულმა მოიცვა და როდესაც გამოფხიზლდნენ, დაინახეს უფლის დიდება და ზეციდან მოესმათ მამა-ღმერთის ხმა: **„ესე არს ძე ჩემი საყვარელი მაგისი ისმინეთ“.**

საგულისხმოა, რომ ფერისცვალების დღესასწაული მთელი 7 დღის განმავლობაში გრძელდება.

გიული ლიპარტია

ქართული ფილმი – საერთაშორისო კინოფესტივალზე

სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე ალექსანდრე კობერიძის ფილმს — „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?!“ აჩვენებენ.

ფილმი წარდგენილი იქნება სექციაში In Focus. სექცია აერთიანებს იმ ფილმებს, რომელთაც საერთაშორისო ასპარეზზე უკვე დიდ წარმატებას მიაღწიეს. ფილმი საქართველო-გერმანიის კოპროდუქციაა. მასში მთავარ როლებს გიორგი ბოჭორიშვილი, ანა ქარსელაძე, ოლიკო ბარბაქაძე, გიორგი ამბროლაძე და ვახტანგ ფანჩულიძე ასრულებენ.

კულტურის სამინისტრო ნიჭიერ ახალგაზრდებს ეხმარეაბა

კონკურსის — „ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანთა განათლების ხელშეწყობა“, გამარჯვებულები გამოვლინდა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით, ეს კონკურსანტები არიან: **თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის საფასურის დაფინანსება; მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) მაგისტრატურაში სწავლის მიზნით საცხოვრებელი ხარჯის ნაწილობრივი დაფინანსება. კონკურსანტს სწავლის საფასურს უფინანსებს სასწავლებელი; მადრიდის დედოფალ სოფიას აკადემიაში სწავლის პერიოდში ცხოვრების ხარჯის ნაწილობრივი დაფინანსება. კონკურსანტს სწავლის საფასურს უფინანსებს სასწავლებელი; მიუნჰენის მუსიკისა და თეატრის უნივერსიტეტში სწავლის მიზნით საცხოვრებელი ხარჯის ნაწილობრივი დაფინანსება; თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის დაფინანსება; თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის დაფინანსება; თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის დაფინანსება; აშშ — Manhattan School of Music მეორე კურსის სასწავლო წლის ნაწილობრივი დაფინანსება; თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის დაფინანსება; ესექსის უნივერსიტეტის მეორე კურსის სწავლის ღირებულების ნაწილობრივი დაფინანსება.**

ზემოჩამოთვლილი ხარჯების დასაფინანსებლად სამინისტროს მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის ჯამური ოდენობა 100 000 ლარია. კულტურის სამინისტრო ულოცავს გამარჯვებულ კონკურსანტებს და წარმატებულ და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას უსურვებს“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 23 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1191; ევრო - 3.6715;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3031;
100 რუბლი - 4.2464; თურქული ლირა - 0.3718;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8347;
1000 სომხური დრამი - 6.3396.

ამინდი 19 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+33
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+32
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge